კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 119 (9895) | პარასკევი, 21 მაისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა ფრანგ საზოგადო მოღვაწეს პიერ კოტს (1-ლი გვერდი).

უკრაინის დედაქალაქში. საქართველოს დელეგაცია ჩავიდა კიევში (1-ლი გვერდი).

ვ. დონსკოი. — კომუნისტური პარტიის ლენინური ორგანიზაციული საფუძვლები (მე-2 გვერდი).

მტს-ი ცუდად ხელმძღვანელობს საგაზაფხულო სამუშაოებს (მე-2 გვერდი).

თესვას აჭიანურებენ (მე-2 გვერდი).

ქართველი ხალხი უმღერის უკრაინას. — ოსეთ-ლონეშვილი. — გურამიშვილის ოცნება. **ხუტა ბერულავა.** — ძმათა ზეიმი. **ალო მირცხულავა.** — მშრომელ[illegible] ჟურული. — ხაი ქივე უკრაინა! [illegible] ლოს მზის ქვეშ შეფიცულები. [illegible] ლი მწერლები საბჭოთა უკრაინას (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა ფრანგ საზოგადო მოღვაწეს პიერ კოტს

პარიზი, 19 მაისი. (საკრესი). გუშინ პარიზის ოტელ „როიალ-მონსონში“ „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა მშვიდობისათვის გამოჩენილ მებრძოლს, თვალსაჩინო ფრანგ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეს პიერ კოტს.

პრემიის გადაცემას დაესწრნენ სსრ კავშირის საქმეთა დროებითი რწმუნებული საფრანგეთში ვ. ი. ეროფეევი, საფრანგეთში სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარე ეჟენი კოტონი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები ჟაკ დიუკლოს მეთაურობით, შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივნები ბენუა ფრაშონი და ალენ ლე ლეპაი, ეროვნული კრების დეპუტატები და რესპუბლიკის საბჭოს წევრები, მშვიდობის ეროვნული საბჭოს, „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ ასოციაციის, ფრანგ ქალთა კავშირის წარმომადგენლები, თვალსაჩინო ფრანგი მეცნიერები, მწერლები, მსახიობები და პრესის წარმომადგენლები.

საზეიმო კრება გახსნა ცნობილმა ფრანგმა მწერალმა, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლუი არაგონმა, რომელმაც აღნიშნა პიერ კოტის თვალსაჩინო დამსახურება მშვიდობის დაცვის საერთაშორისო მოძრაობის წინაშე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის მინიჭება ფრანგი ხალხის მეოთხე წარმომადგენლისათვის არც შემთხვევითია და არც გასაკვირველი, რადგან მსოფლიოს რუკაზე საფრანგეთს დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

შემდეგ პიერ მენიემ წაიკითხა წერილი ეროვნული კრების საპატიო თავმჯდომარის ედუარდ ერიოსი, რომელმაც ვერ შეძლო ლიონიდან ჩამოსვლა ამ საზეიმო ცერემონიაზე.

წერილში ნათქვამია: „ადამიანის სიცოცხლის პატივისცემა ყოველი ცივილიზაციის, ყოველი რელიგიის, ყოველი მორალის პირველი პირობაა.

მადლობას გიძღვნით ამ პრინციპის დაცვისათვის. თვითონ მოხუცი, მე გადმოგცემთ ანთებულ ჩირაღდანს. თქვენი ედუარდ ერიო“.

შემდეგ თავმჯდომარე სიტყვას აძლევს საფრანგეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს პოლ-ბონკურს, რომელიც ამბობს, რომ პიერ კოტს დღეს მიენიჭა მსოფლიოს ყველაზე მაღალი პრემია — საერთაშორისო სტალინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“. მე არ ვივიწყებ და ვერასოდეს ვერ დავივიწყებ, ამბობს იგი, იმ დიდ ქვეყანას, რომლის ჯარისკაცებმა აღმოსავლეთში გაფთრებული ბრძოლებით შესაძლებელი გახადეს ნორმანდიაში გადმოსხდომა და საფრანგეთის განთავისუფლება.

ინგლისის მშვიდობის მომხრეთა სახელით ლაურეატს მიულოცა ცნობილმა ინგლისელმა საზოგადო მოღვაწემ პრიტმა, რომელმაც გამოთქვა მშვიდობის საქმის გამარჯვების ურყევი რწმენა.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს გამოჩენილმა ფრანგმა მეცნიერმა ფრედერიკ ჟოლიო-კიურიმ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა პიერ კოტის დამსახურება მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო მოძრაობაში და დამსახურება ფრანგი ხალხის წინაშე, და ეროვნული კრების დეპუტატმა დ'ასტიე დე ლა ვიჟერიმ, რომელმაც დაახასიათა პიერ კოტის საპარლამენტო და პოლიტიკური ბრძოლა საფრანგეთის და ევროპის ყველა ხალხის უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

შემდეგ სიტყვა მიეცა საბჭოთა მწერალს ილია ერენბურგს. იგი ამბობს:

ძვირფასო პიერ კოტ!

წილად მხვდა დიდი პატივი: გადმოგცეთ „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემია. ჩვენ ვცხოვრობთ დიად და ძნელ დროში: თვითეული ადამიანის გონებასა და გულზე, თვითეული ხალხის გონებასა და გულზე დამოკიდებულია ჩვენი ცივილიზაციის ბედი — იმ განსაცვიფრებელი ქალაქის ქვის კორომები, რომელიც გარს გვარტყია, და წიგნები მომავალი ბალზაკებისა, დიკენსებისა, ტოლსტოებისა, რომლებიც ახლა ჯერ კიდევ უდარდელად თამაშობენ ლუქსემბურგის ბაღში, ჰაიდ-პარკში, პუშკინის ბულვარზე. დიდი პატრიოტი, თავისი საუკუნის მოქალაქე, თქვენ, პიერ კოტ, შუდამ იცავდით მშვიდობის საქმეს, საფრანგეთისა და კაცობრიობის ფასეულობებს, ხალხთა შორის მეგობრობას, ყველა დედის, ყველა მშენებლის, ყველა მებაღის იმ ცხოვრების უფლებას, რომელიც თავისუფალია მომქანცველი შეშფოთებისაგან და დამმცირებელი შიშისაგან.

ძვირფასო მეგობარო!

თქვენ შეგიძლიათ სიამაყით იფიქროთ, რომ მოლაპარაკებისა და შეთანხმების იდეების გამარჯვებაში არის აგრეთვე თქვენი შრომის, თქვენი ცხოვრების წილი.

ნება მიბოძეთ მოგილოცოთ აგრეთვე მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის სახელით და თქვენი სახით მივესალმო ჩვენთვის ძვირფას და მახლობელ ფრანგ ხალხს.

ჩვენ ვცხოვრობთ ჩვენი საერთო სახლის — ევროპის სხვადასხვა კიდეზე და ერთნაირად ვართ დაინტერესებული დავიცვათ ეს სახლი ცეცხლისაგან, ჩვენ ერთნაირად გვიყვარს მშვიდობიანი შრომა, და როცა გამოჩნდებიან ხოლმე ადამიანები, რომლებიც მსჯელობენ, თუ რამდენი ბომბია საჭირო იმისათვის, რომ მოსპონ ესა თუ ის ქალაქი, ჩვენ, საბჭოთა მოქალაქეები, აღშფოთებით ვხვდებით ამ უპასუხისმგებლო და დანაშაულებრივ სიტყვებს — ისინი მომდინარეობენ ადამიანებისაგან, რომლებმაც არ იციან, თუ რამდენი საუკუნე, რამდენი შრომა და გენია არის საჭირო, რომ აშენდეს პარიზი ან მოსკოვი.

საბჭოთა ადამიანები მოგესალმებიან თქვენ, პიერ კოტ, მეგობარი ხალხის წარმომადგენელს, იმ ქვეყნის წარმომადგენელს, რომლითაც კაცობრიობა ამაყობს. მე ვიცნობ და მიყვარს თქვენი ქვეყანა. მე ვიცი, რომ ისეთი ადამიანები, როგორიც თქვენ ხართ, როგორიც არის თავმჯდომარე ერიო, რომლებმაც ბევრი იშრომეთ ჩვენი ორი ხალხის დაახლოებისათვის და ევროპაში კოლექტიური უშიშროების იდეისათვის, ისეთი ადამიანები, როგორიც არის დიდი მეცნიერი ჟოლიო-კიური, როგორიც არის არაგონი, იცავენ მსოფლიოში საფრანგეთის ავტორიტეტსა და კეთილ სახელს. მერწმუნეთ, რომ როცა ვხედავთ საქციელს, გვესმის სიტყვები, რომლებითაც ცდილობენ მოშხამონ ჩვენი ორი ხალხის მეგობრობა, ჩვენ არასოდეს არ მივიღებთ ასეთ საქციელს, ასეთ სიტყვებს როგორც საფრანგეთის ნებას, იმდენად შორს არიან ისინი თქვენი ქვეყნის თავისუფლებისმოყვარეობისა და სტუმართმოყვარეობის ტრადიციებისაგან.

ეს არის მივიღე თავმჯდომარე ერიოს წერილი, რომელშიც იგი გმობს იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიღებულია საბჭოთა ბალტიის მიმართ, და ამტკიცებს, რომ მეტი წილი ფრანგები იზიარებენ მის თვალსაზრისს. ვინ გაბედავს უარყოს ასეთი მტკიცება იმ კაცისა, რომლის მორალური ავტორიტეტი მთელ საფრანგეთში უდავოა.

რამდენიმე დღის შემდეგ, მოსკოვში დაბრუნებისას, მე ვეტყვი ჩემს თანამოქალაქეებს, რომ ფრანგებს, ისევე როგორც ჩვენ, სურთ მშვიდობა, სურთ ჩვენი ხალხების მეგობრობა.

მშვიდობის საქმემ უნდა გაიმარჯვოს, და იგი გაიმარჯვებს. ჩვენი დროის ისტორიაზე ფიქრის დროს ადამიანები მადლიერებით იფიქრებენ თქვენს წვლილზეც ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების საქმეში, ჩვენო ძვირფასო მეგობარო. გისურვებთ ჯანმრთელობასა და ძალღონეს, მე არ დავძენ — ბედნიერებას: ვიცი, რომ მშვიდობა ბედნიერებაა ყველასათვის, თქვენთვის კი ყველაზე დიდი ბედნიერებაა.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატმა პიერ კოტმა.

პიერ კოტის სიტყვა

ბატონებო, მკურნალმა ექიმებმა ამიკრძალეს სიტყვის წარმოთქმა, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ძალიან არ დავარღვევ მათ განაწესს, თუ მოკლედ მადლობას გადავუხდი იმათ, ვისი დასწრებაც ამ ტრიბუნაზე და ამ დარბაზში ჩემთვის სიმპათიისა და სიყვარულის ძვირფასი საწინდარია.

როცა შევიტყე, რომ მომენიჭა მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემია, დიდი სიამაყის გრძნობა განვიცადე. ეს სიამაყე სავსებით კანონიერი იყო, რადგან პატივი, რომელიც დაკავშირებულია ჩემთვის პრემიის მონიჭებასთან, ყველაზე დიდია, რისი იმედიც შეიძლება ჰქონდეს ადამიანს, რომელიც იზიარებს ჩემს იდეებსა და რწმენას.

როცა გადავხედე ჩემს საქმიანობას მშვიდობის სასარგებლოდ, მასში ბევრი ნაკლი აღმოვაჩინე. რა თქმა უნდა, ორატორები, რომლებმაც დღეს საღამოს მომილოცეს, დაფნით მამკობდნენ და კომპლიმენტებს მეუბნებოდნენ. ნუ დაუჯერებთ მათ მთლიანად; მათმა მეგობრობამ გახადა ისინი ძალიან ლმობიერნი. ვიცი რა ჩემი შესაძლებლობანი და ჩემი წონა, უფლება მაქვს ვიფიქრო, რომ როცა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემია მომანიჭეს, ჩემი სახით სურდათ დაეჯილდოებინათ უწინარეს ყოვლისა ჩვენი ჟურნალი „მშვიდობის დაცვისათვის“, შემდეგ საერთოდ საფრანგეთის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის საქმიანობა და, ბოლოს, ჩვენი ქვეყნის ყველა პატიოსანი ადამიანის მოქმედება, რომლებიც — ჩვენს მოძრაობაში თუ მის გარეთ — მტკიცედ ამბობენ უარს ომში ჩათრევაზე, ენერგიულად აცხადებენ მოლაპარაკების უპირატესობას ნაპალმის ან წყალბადის ბომბის დიპლომატიაზე და იცავენ, როგორც ალამს ქარიშხლის დროს, თავის რწმენას ყველა ხალხის თანხმობისა და კაცობრიობის მომავლისადმი.

დარწმუნებული ვარ, რომ არავინ არ მისაყვედურებს თუ, გავუფრთხილდები რა ჩემს ძალებს, მადლობას გადავუხდი ერთბაშად ყველა იმათ, ვინც პატიგი დამდო თავისი მონაწილეობით ან დასწრებით ამ კრებაზე. ჩემი მოღვაწეობა გრძელ სიტყვაზე უკეთ გამოხატავს მთელ ჩემს სიხარულს და ჩემს მადლობას.

შემდეგ პიერ კოტმა თქვა:

პირველი იდეა, რომელიც მუდამ უნდა გვახსოვდეს, ის არის, რომ ჩვენი ეპოქის ყველაზე დიდი პრობლემაა სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემების მშვიდობიანი თანაარსებობა. მშვიდობის რწმენა, მშვიდობის სურვილი — ეს არის უწინარეს ყოვლისა სხვადასხვა სისტემების თანაარსებობის შესაძლებლობის რწმენა, ისეთი თანაარსებობისა, რომლის დროსაც საერთაშორისო ნდობის ერთგვარი ნაწილი წარმოშობს თუნდაც საერთაშორისო თანამშრომლობის ჩანასახს.

მეორე იდეა, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ, ის არის, რომ საერთაშორისო ძალების თანაფარდობა განუწყვეტლივ იცვლება.

ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ჩვენს თვალწინ ხდება, არის სხვა კონტინენტებზე იმის ხანგრძლივი ბატონობის დამთავრება, რასაც ჩვეულებრივ დასავლეთ სამყაროს უწოდებენ. კოლონიურ იმპერიებს, ეკონომიურ და პოლიტიკურ მეურვეობას არსებობის შენარჩუნების შანსები იმაზე მეტი არა აქვთ, ვიდრე რომის იმპერიას ან გერმანელი ერის წმინდა იმპერიას აღორძინების შანსი, თუნდაც ეს იყოს „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ნიღბით. ყველაფერი ეს წარსულს ეკუთვნის და საფლავში უნდა დარჩეს. ადამიანთა უდიდესმა მასებმა, რომლებიც გუშინ დამონებული ჰყავდათ დასავლეთ სახელმწიფოებს ან ემორჩილებოდნენ მათს ბატონობას, თავი ასწიეს და დამოუკიდებლობა მოიპოვეს; მათ მიბაძეს ან მიბაძავენ სხვა ხალხები, და ჩვენ უნდა შევიცოდოთ ის უგუნურები, რომლებიც ვერ ამჩნევენ, თუ რა ახალ ჰორიზონტებს უსახავს კაცობრიობას ეს მოძრაობა.

ყოველ შემთხვევაში ამიერიდან მთელი საერთაშორისო პრობლემები უნდა შევაფასოთ აფრიკის, აზიისა და ამერიკის ხალხების ეროვნული თვითშეგნებისა და არსებობისადმი მისწრაფების გათვალისწინებით.

განვაგრძოთ ჩვენი მსჯელობა და წავიდეთ წინ.

ეპოქაში, როცა მალე იცვლება სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურა, მსოფლიო განუწყვეტლივ უნდა ეგუებოდეს საერთაშორისო სინამდვილის შეცვლას. იგი შეიძლება დავამყაროთ და შევინარჩუნოთ თანმიმდევრული დაახლოებული შეფასებისა და ურთიერთდათმობის გზით; იგი სიცოცხლისუნარიანი გახდება მუდმივი მოლაპარაკებისა და მუდმივ განახლებულ შეთანხმებათა მეოხებით, რადგან სიცოცხლე მოძრაობაა.

მე ვუახლოვდები, ბოლოს, უკანასკნელ იდეას, რომელსაც მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო. მშვიდობის განსამტკიცებლად საკმარისი არ იქნებოდა დიპლომატების მთელი სიმარჯვე, სახელმწიფო მოღვაწეთა მთელი გამოცდილება. ერთიც და მეორეც უნდა ემყარებოდეს ხალხთა ნებას. სწორედ ხალხთა ამ ნების გამოთქმასა და ხაზგასმით აღნიშვნას ცდილობს, თუმცა ჯერ კიდევ სრულიად არასაკმაოდ, ჩვენი მშვიდობის მსოფლიო საბჭო; საბოლოო ანგარიშით, საქმე ეხება იმას, რომ უზრუნველვყოთ ხალხთა ნების გამარჯვება.

სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემების მშვიდობიანი თანაარსებობა, მოძრაობა ყველა ხალხისა, რომლებიც გუშინ ემორჩილებოდნენ, ხოლო ზოგი დღესაც ემორჩილება უცხოეთის ნებას, მოძრაობა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისადმი; იმის მტკიცება, რომ მხოლოდ მოლაპარაკებისა და შეთანხმების სულისკვეთებას შეუძლია მოგვცეს საერთაშორისო ცხოვრების მიერ დასმული პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობა; ხალხთა სულ უფრო აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო საქმეების ხელმძღვანელობაში — ასეთია, ჩემი შეხედულებით, მშვიდობის ოთხი ძალა, ოთხი საფუძველი.

მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა და ყველა მუქარისა, ჩვენ მოვიგებთ ბრძოლას მშვიდობისათვის. მოთმინების ძალით განვაიარაღებთ სიძულვილსა და სისულელეს და აღვადგენთ ნდობასა და მეგობრობას აღმოსავლეთელ და დასავლეთელ ადამიანთა შორის.

რადგანაც დღეს მშვიდობის საერთაშორისო სტალინურ პრემიას ანიჭებენ ფრანგ რესპუბლიკელს, ნება მიეცით მას ადამიანის მომავლისადმი თავისი რწმენის გამოსათქმელად ისმაროს სამი სიტყვა, რომლებიც საფრანგეთის რევოლუციამ მისცა მსოფლიოს, როგორც ჩირაღდანი: როცა ხალხთა **თავისუფლება** დამყარებულ იქნება ყველა რასისა და ყველა ქვეყნის ადამიანთა **თანასწორობაზე**, კაცობრიობის ჰორიზონტზე გამოჩნდება **ძმობის** განთიადი.

უკრაინის დედაქალაქში

საქართველოს დელეგაცია ჩავიდა კიევში

კიევი, 20 მაისი. (ტელეფონით). წვიმის შემდეგ უკრაინის დედაქალაქში მზიანი დარი დადგა. კიდევ უფრო აშშენიერებენ ქალაქის ქუჩებსა და მოედნებს.

კიევის ვაგზალი საზეიმოდ მორთული ხვდება მოძმე რესპუბლიკების მშრომელთა დელეგაციებს, რომლებიც ჩამოდიან იუბილეში მონაწილეობის მისაღებად.

20 მაისისათვის უკრაინაში უკვე ჩამოვიდნენ ბელორუსიის, ყირგიზეთის, კარელია-ფინეთის, ესტონეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების დელეგაციები.

წუხელ კიევის აეროპორტში დაეშვა თვითმფრინავი, რომელმაც ჩამოიყვანა საქართველოს სსრ დელეგაცია რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი მიძღვნილ უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე. სტუმრებს შეხვდნენ უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს, მინისტრთა საბჭოს მუშაკები და ქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. დ. ჩუბინიძემ თქვა:

ქართველი და უკრაინელი ხალხები ძველთაგანვე მტკიცე ძმური ურღვევი მეგობრობის შედეგო ურთიერთობით არიან დაკავშირებულნი. ქართველი ხალხი დიდი სიხარულით ადევნებს თვალყურს იმას, თუ რა მძლავრი აღმავლობის გზით მიდის საბჭოთა უკრაინის ეკონომიკა და კულტურა. ჩვენი ხალხების მეგობრობა ნაყოფიერ გავლენას ახდენს ჩვენი რესპუბლიკის აყვავებაზე. საქართველოს კოლმეურნეები უკვე რამდენიმე წელია ეჯიბრებიან უკრაინელ მხვნელ-მთესველებს. ჩვენი მეშახტეები დონბასელი მეშახტეებისაგან სწავლობენ ოსტატუბას. ჩვენი მეტალურგები ერთმანეთს ეხმარებიან ლითონის წარმოების უახლესი ხერხების ათვისებაში. საბჭოთა ხალხების ძმური ოჯახი ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების საწინდარია. ვიმყოფებით რა უკრაინის მიწაზე, მზიური საქართველოს მშრომელთა სახელით მხურვალე, ძმურ სალამს გადავცემთ ნიჭიერ და გმირ უკრაინელ ხალხს და ვუსურვებთ მას შემდგომ წარმატებებს თავისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

კიევის სტუმრები ინტერესით ათვალიერებენ ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს, ტკბებიან დნეპრისა და მისი სანაპიროების სილამაზით.

კიეველები სტუმრებს ცოცხალ თაიგულებს მიართმევენ, ეკითხებიან მათი რესპუბლიკების ამბებს.

უკრაინის სამრეწველო რაიონებიდან კიევში სასიხარულო ცნობები მოდის რეპუბლიკის მრავალრიცხოვან საწარმოთა კოლექტივების ახალი მიღწევების შესახებ. ასეთივე სასიხარულო ამბები მოდის საკოლმეურნეო მინდვრებიდან.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ ᲙᲘᲔᲕᲨᲘ

კომუნისტური პარტიის ლენინური ორგანიზაციული საფუძვლები

ვ. ი. ლენინის წიგნის „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ გამოსვლის 50-ე წლისთავის გამო

50 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც გამოვიდა ვ. ი. ლენინის გენიალური შრომა „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“. ლენინის ეს ნაწარმოები ჩვენი კომუნისტური პარტიის, ყველა ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიების მშენებლობისა და საქმიანობის პროგრამული დოკუმენტი გახდა.

ორგანიზაციული პრინციპები, რომლებიც ყოველმხრივ დამუშავებულია წიგნში „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ და რომლებიც განვითარებულია ვ. ი. ლენინის შემდგომ ნაწარმოებებში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებებსა და დოკუმენტებში, ლენინის საქმის დიდი განმგრძობის ი. ბ. სტალინის და ლენინის სხვა მოწაფეთა ნაშრომებში და ასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებაში, პარტიის მძლავრი იარაღია კომუნიზმისათვის მის ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ხელმძღვანელობს რა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპებით და პარტიული ცხოვრების ურყევი ნორმებით, რომლებიც ლენინმა შეიმუშავა, მტკიცე რწმენით მიუძღვის საბჭოთა ხალხს კომუნიზმის გზით.

* * *

კომუნისტური პარტიის ორგანიზაციული საფუძვლების შემუშავების დროს ვ. ი. ლენინი ეყრდნობოდა მარქსისა და ენგელსის გენიალურ დებულებებს პარტიის შესახებ, ხელმძღვანელობდა მარქსისტული თეორიის არსით და ახალი ისტორიული ამოცანებით, რომლებიც რუსეთის და საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე დაისახა იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქაში. ლენინმა დაასაბუთა დებულება, რომ იმპერიალიზმის ხელისუფლების დასამხობად და პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად საჭირო ახალი ტიპის პარტია, რომელიც ძირეულად განსხვავდება II ინტერნაციონალის პარტიებისაგან, რომლებიც შემდეგში ბურჟუაზიულ-რეფორმისტული პარტიებად გადაგვარდნენ. ლენინმა გამანადგურებელი ლაზვარი ჩასცა მენშევიკებს და მათს დამცველებს — დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიული პარტიების ოპორტუნისტებს, რომლებიც რუს მუშებს II ინტერნაციონალის ტიპის პარტიების შექმნის გზაზე აყენებდნენ. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყველა ქვეყანაში რევოლუციური მოძრაობის განვითარებისათვის.

პარტიის II ყრილობაზე ლენინმა და მისმა თანამოაზრეებმა ოპორტუნისტებთან ბრძოლაში დაიცვეს ძირეული მარქსისტული დებულებანი, რომ პარტია უნდა იყოს მუშათა კლასის მოწინავე, შეგნებული, ორგანიზებული რაზმი, შეიარაღებული საზოგადოების განვითარების კანონების ცოდნით და რევოლუციური მოძრაობის გამოცდილებით. რსდმპ-ის II ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ მან რუსეთში შექმნა ნამდვილად მარქსისტული პარტია იმ იდეურ და ორგანიზაციულ საწყისებზე, რომლებიც წამოაყენა და შეიმუშავა ლენინურმა „ისკრამ“. რსდმპ-ის II ყრილობაზე წარმატებით დაგვირგვინდა შეუპოვარი ბრძოლა, რომელსაც ლენინი გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან ეწეოდა რუსეთში კომუნისტური პარტიის შექმნისათვის, მარქსიზმის აშკარა და ფარული მტრების, ხალხოსნობისა და „ლეგალური მარქსიზმის“ წინააღმდეგ, კუსტარულობისა და წრეობანის წინააღმდეგ, „ეკონომისტებისა“ და მენშევიკების ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. დამარცხდნენ რა რსდმპ-ის II ყრილობაზე, მენშევიკებმა ყრილობის შემდეგ გააფთრებული ბრძოლა დაიწყეს პარტიისა და პარტიულობის წინააღმდეგ.

წიგნი „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ ვ. ი. ლენინმა დაწერა მალე რსდმპ-ის II ყრილობის შემდეგ.

ლენინის წიგნის გამოქვეყნებამ გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა არა მარტო რუსი მენშევიკების ოპორტუნიზმს, არამედ მთელ საერთაშორისო ოპორტუნიზმს. ვ. ი. ლენინის, მისი მოწაფეებისა და მიმდევრების მეოხებით, რომლებსაც მხურვალედ უჭერდნენ მხარს რუსეთის მუშები, მხილებულ იქნა და დასამარდა მენშევიკების გეგმა — შეექმნათ რუსეთში რეფორმისტული პარტია.

წიგნში „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ ლენინმა მარქსიზმის ისტორიაში პირველად შეიმუშავა მოძღვრება კომუნისტური პარტიის შესახებ, რომელიც პროლეტარიატის ხელმძღვანელი ორგანიზაცია, მისი ძირითადი იარაღია მუშათა კლასის დიქტატურის მოსაპოვებლად, სოციალიზმისა და კომუნიზმის ასაშენებლად.

ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა და დაასაბუთა კომუნისტური პარტიის ძირითადი ორგანიზაციული პრინციპები, რომლებიც ამავე დროს წარმოადგენენ მის, როგორც რევოლუციური მარქსისტული პარტიის, ახალი ტიპის პარტიის თავისებურებებს.

* * *

ვ. ი. ლენინმა მოგვცა იმ დებულების ღრმა დასაბუთება, რომ კომუნისტური პარტია მუშათა კლასის მოწინავე რაზმია უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ იგი შეიარაღებულია საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონების ცოდნით, კლასობრივი ბრძოლის კანონების ცოდნით და რომელსაც ამის გამო უნარი შესწევს წაუძღვეს მუშათა კლასს, უხელმძღვანელოს მის ბრძოლას. ლენინმა ჩამოაყალიბა ძირეული მარქსისტული დებულება, რომ კომუნისტური პარტია არის მუშათა მოძრაობისა და მეცნიერული კომუნიზმის ერთება. პარტიამ უნდა უხელმძღვანელოს მუშათა კლასის და მშრომელთა მრავალმილიონიანი მასების რევოლუციურ ბრძოლას. მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება, გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი, შეუძლია მხოლოდ მოწინავე თეორიით შეიარაღებულ პარტიას.

კომუნისტური პარტიის, როგორც მუშათა კლასის ავანგარდისა და ბელადის, ძალა ის არის, რომ იგი შემოქმედებითად არის დაუფლებული რევოლუციურ თეორიას, უნარიანად სარგებლობს ამ თეორიით, რევოლუციური მოძრაობის პრაქტიკულ საკითხთა გადაწყვეტისას პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა პირობებში. კომუნისტური პარტია ამდიდრებს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას რევოლუციური მოძრაობის ახალი გამოცდილებით, ავითარებს და წინ მიჰყავს იგი, ამასთან არ ერიდება იმას, რომ თეორიის არსზე დაყრდნობით შეცვალოს ზოგიერთი მოძველებული დებულება და დასკვნა ახალი დებულებებითა და დასკვნებით, რომლებიც შეესაბამება ახალ ისტორიულ ვითარებას. თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა კომუნისტური პარტიის გზის მანათობელი ვარსკვლავია.

ლენინის დებულება კომუნისტური პარტიის როგორც მუშათა კლასის მოწინავე რაზმის შესახებ მოითხოვს, რომ პარტიამ თავის რიგებში მიიღოს კლასის საუკეთესო, მოწინავე ნაწილი, კომუნიზმისათვის მედგარი მებრძოლები პარტიის ახალ წევრთა ინდივიდუალური შერჩევის პრინციპის საფუძველზე. პარტია მტკიცდება და ვითარდება როგორც სსრ კავშირის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა მებრძოლი ავანგარდი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებაში, არის თანამოაზრე კომუნისტების ნებაყოფლობითი მებრძოლი კავშირი, ორგანიზებული მუშათა კლასის, მშრომელი გლეხებისა და მშრომელ ინტელიგენციის ადამიანებისაგან.

კომუნისტური პარტია არის მუშათა კლასის ორგანიზებული რაზმი. პარტიის წევრობის შესახებ წესდების პუნქტის ფორმულა, რომელიც ვ. ი. ლენინმა მოგვცა რსდმპ-ის II ყრილობაზე, შეიცავს აზრს პარტიის, როგორც ერთიანი ორგანიზებული მთელის შესახებ. ეს იმას ნიშნავს, რომ პარტიის ყველა წევრი ორგანიზებული უნდა იყოს ერთიან საერთო რაზმად და მტკიცედ იყოს შეკავშირებული ნების ერთიანობით, მოქმედების ერთიანობით, დისციპლინის ერთიანობით.

პარტიის რიგების მაღალ ორგანიზებულობას უზრუნველყოფს ის, რომ კომუნისტებმა მტკიცედ შეასრულონ თავიანთი მოვალეობა, დაიცვან თავიანთი უფლებები. ვისაც სურს კომუნისტური პარტიის წევრი იყოს, მარტო იმას კი ვერ დასჯერდება, რომ მიიღოს პროგრამული, ტაქტიკური და ორგანიზაციული შეხედულებანი, არამედ უნდა იბრძოლოს ამ შეხედულებათა განხორციელებისათვის. ეს ლენინური დებულება თავის ღრმა ასახვას პოულობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების მეორე პუნქტში, სადაც ნათქვამია, თუ ვის შეუძლია იყოს პარტიის წევრი, და პუნქტებში, კომუნისტების მოვალეობათა და უფლებათა შესახებ.

იბრძოდა რა მენშევიკებისა და ტროცკისტების წინააღმდეგ, რომელნიც იმის მომხრე იყვნენ, რომ პარტიის კარი ფართოდ გაეღოთ ყველა მერყევი, არაპროლეტარული ელემენტისათვის, რომ პარტია ყოფილიყო უსახო, ქრელი და გაუფორმებელი, ლენინი პარტიის II ყრილობაზე ამბობდა:

„სჯობია, ათმა მომუშავემ არ უწოდოს თავის თავს პარტიის წევრი (ნამდვილი მუშაკები ხარისხს არ გამოედევნებიან), ვიდრე ერთ მოლაყბეს ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა იყოს პარტიის წევრი... ჩვენ უნდა ვეცადოთ სულ უფრო და უფრო ავამაღლოთ პარტიის წევრის წოდება და მნიშვნელობა...“ (თხზ., ტ. 6, გვ. 624-625).

პარტიის, როგორც მუშათა კლასის ორგანიზებული რაზმის, შესახებ ლენინური დებულების არსი ისიც არის, რომ კომუნისტური პარტია წევრებისა და ორგანიზაციების უბრალო არითმეტიკული ჯამი კი არ არის, არამედ პარტიული ორგანიზაციების კომპლექსი, მთლიანი და ერთიანი სისტემაა, რომელსაც ჰყავს ხელმძღვანელობის უმაღლესი და ძირეული ორგანოები, სისტემა, სადაც უმცირესობა ემორჩილება უმრავლესობას, და სადაც გამოაქვთ პარტიის ყველა წევრისათვის სავალდებულო პრაქტიკული გადაწყვეტილებანი. კომუნისტური პარტიის ორგანიზაციები სტიქიურად კი არ ჩნდებიან, არამედ მათ ქმნიან ზემდგომი პარტიული ორგანოები. ისინი ერთმანეთისაგან მოწყვეტილ, განცალკევებულ ორგანიზაციებად კი არ ცხოვრობენ, არამედ ცხოვრობენ როგორც ერთიანი ცენტრალიზებული პარტიის განუყოფელი ნაწილები.

კომუნისტური პარტია მუშათა კლასის, მშრომელების ორგანიზებულობისა და დისციპლინის განსახიერებაა. როგორც მძლავრი ორგანიზებული რაზმი, პარტია წარმატებით მიუძღვის მთელ საბჭოთა ხალხს კომუნიზმის მშენებლობის უდიდესი ამოცანების გადასაწყვეტად.

თავის ისტორიულ წიგნში ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა, დებულება პარტიის, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი გაერთიანების უმაღლესი ფორმის შესახებ. კომუნისტურ პარტიას აქვს ყველა მონაცემი, რომელთა მეოხებით იგი უნარიანად ახდენს კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის ხელმძღვანელობის ცენტრალიზებას და ამრიგად მუშათა კლასის ყველა და ყოველ ორგანიზაციას აქცევს იმ ამძრავ ღვედებად, რომლებიც პარტიას აკავშირებენ მშრომელთა უფართოეს მასებთან, იგი ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელსაც შეუძლია უხელმძღვანელოს მშრომელებს. პარტია შეიარაღებულია მოწინავე თეორიით, რომელიც გამოხატავს მუშათა კლასის, ხალხის ძირეულ ინტერესებს. პარტიას აქვს პროგრამა, ტაქტიკა, ორგანიზაციული პრინციპები, რომლებითაც მას შეუძლია მიიმხროს მშრომელთა მასები და ერთიანი მიზნისაკენ წაუძღვეს მათ. პარტია, ი. ბ. სტალინის სიტყვით, შესაკრები პუნქტია მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლებისა, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არიან უპარტიო ორგანიზაციებთან და ხელმძღვანელ როლს ასრულებენ ამ ორგანიზაციებში.

კომუნისტური პარტია, რომელიც მუშათა კლასის კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმაა, პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში წარმართავს მშრომელთა არა მარტო საზოგადოებრივი, არამედ აგრეთვე სახელმწიფო ორგანიზაციების საქმიანობას. პარტია ამასთანავე პროლეტარიატის იარაღია დიქტატურის მოსაპოვებლად, როცა დიქტატურა ჯერ კიდევ მოპოვებული არ არის, დიქტატურის განმტკიცებისა და გაფართოების იარაღია, როცა დიქტატურა უკვე მოპოვებულია. პროლეტარიატის დიქტატურაში მთავარია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა.

კომუნისტების პარტია ჩვენს ქვეყანაში მუშათა კლასის დიქტატურის დამყარებისათვის ბრძოლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია. პარტიის ხელმძღვანელობით შეიქმნა საბჭოები — მუშათა კლასის დიქტატურის სახელმწიფო ორგანიზაციები.

კომუნისტური პარტიის დიადი უძლეველი ძალაა მისი განუყოფელი კავშირი ხალხის უფართოეს მასებთან.

ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ კომუნისტური პარტია განსაახიერებს მუშათა კლასის მოწინავე რაზმის კავშირს მშრომელთა მილიონიან მასებთან. განუზომლად გაფართოვდა და განმტკიცდა კომუნისტური პარტიის კავშირი მშრომელ მასებთან მუშათა კლასის დიქტატურის ეპოქაში.

ვ. ი. ლენინი ულმობლად ამათრახებდა იმ სულელურ წარმოდგენას, თითქოს პარტიას უხალხოდ შეეძლოს განახორციელოს საკუთარი ლოზუნგები, თითქოს მარტო კომუნისტების ხელით შეიძლებოდეს კომუნისტური საზოგადოების აშენება.

პარტია თავის საქმიანობაში ყოველთვის ეყრდნობოდა და ეყრდნობა მარქსიზმ-ლენინიზმის დებულებას, რომ მხოლოდ ხალხის მასები ქმნიან ისტორიულ პროგრესს. კომუნისტურ საზოგადოებას აშენებს მთელი ხალხი პარტიის ხელმძღვანელობით. რაც უფრო მჭიდროა პარტიული ორგანიზაციების, პარტიული ხელმძღვანელებისა და კომუნისტების კავშირი მასებთან, მით უფრო ნაყოფიერია მუშაობა მილიონობით უპარტიო მშრომელისა და პარტიული ორგანიზაციებისა, რომლებიც მასებს მიუძღვიან. პარტიის, მთავრობისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა ყველა ჩვენი გამარჯვების ცხოველმყოფელი წყაროა, კომუნიზმის გზით ჩვენი მტკიცე სვლის საფუძველია.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ კომუნისტური პარტიის ორგანიზაციული წყობის ხელმძღვანელი პრინციპია დემოკრატიული ცენტრალიზმი. ცენტრალიზმი იმას ნიშნავს, რომ პარტია არსებობს როგორც ერთიანი ორგანიზებული მთელი, აქვს ერთიანი წესდება და ერთიანი პროგრამა, ჰყავს ერთიანი უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანო — პარტიის ყრილობა, ხოლო ყრილობიდან ყრილობამდე — პარტიის ცენტრალური კომიტეტი. ცენტრალური კომიტეტი პარტიის ხელმძღვანელი შტაბია. ცენტრალურ კომიტეტს ეკისრება მოვალეობა ყრილობიდან ყრილობამდე დაიცვას და განახორციელოს პარტიის პრინციპები, დაიცვას პარტიის ერთიანობა, უხელმძღვანელოს პარტიის მთელ ცხოვრებას. პარტიაში არის ერთიანი დისციპლინა, რომელიც თანაბრად სავალდებულოა ყველასათვის, პარტიაში მოქმედებს პრინციპი, რომლის მიხედვით უმცირესობა ემორჩილება უმრავლესობას, ცალკეული ორგანიზაციები — ცენტრს, ძირეული ორგანიზაციები — უმაღლეს ორგანიზაციებს. თუ ეს პირობები არ იქნა, მუშათა კლასის პარტია ვერ შეასრულებს თავის ამოცანებს მასების ხელმძღვანელობაში.

ცენტრალიზმი, რომლის საფუძველზე აგებულია პარტია, დემოკრატიულია. „ეს იმას ნიშნავს, — წერდა ლენინი, — რომ პარტიის ყველა საქმეს, უშუალოდ თუ წარმომადგენლების საშუალებით, უძღვება პარტიის ყველა წევრი თანასწორი უფლებით და ყოველგვარი გამონაკლისის დაუშვებლად; ამასთან პარტიის ყველა თანამდებობის პირი, ყველა ხელმძღვანელი კოლეგია, ყველა დაწესებულება — არჩეული, ანგარიშვალდებულია და იცვლება“. (თხზ., ტ. 11, გვ. 524).

შინაპარტიული დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი დებულებაა პარტიული ხელმძღვანელობის. პრინციპებისა და პარტიული ცხოვრების იმ ნორმების დაცვა, რომლებიც ლენინმა შეიმუშავა. პარტიული ხელმძღვანელობის უმაღლესი პრინციპია ხელმძღვანელობის კოლექტიურობა. პარტიული ორგანიზაციებისა და მთელი პარტიის ნორმალური საქმიანობა, გვასწავლის ლენინი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ზუსტად დავიცავთ ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპს, რომელიც უზრუნველყოფს, რომ პარტიამ თავიდან აიცილოს შემთხვევითობის ელემენტები, არ მიიღოს ცალმხრივი გადაწყვეტილებანი. ამ პრინციპის არსი ის არის, რომ პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობას მარტო მდივანი კი არ ახორციელებს, არამედ ბიურო, მთელი კომიტეტი, რომ ხელმძღვანელ ორგანოებს მუდმივი კავშირი აქვთ კომუნისტებთან და რომ ყველა კომუნისტი იღებს მონაწილეობას პარტიულ გადაწყვეტილებათა შემუშავებასა და განხორციელებაში.

კომუნისტური პარტია გვასწავლის, რომ მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური თეორიის მეცნიერულ საფუძველზე და ხელმძღვანელი კადრების ფართო ინიციატივაზე დაყრდნობილი ცენტრალური კომიტეტის კოლექტიური გამოცდილება, კოლექტიური სიბრძნე უზრუნველყოფს პარტიისა და ქვეყნის ხელმძღვანელობის სისწორეს, პარტიის რიგების ურყევ ერთიანობასა და დარაზმულობას, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის წარმატებით მშენებლობას.

წიგნში „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ ლენინმა ჩამოაყალიბა დებულება, რომ პარტიული რიგების ერთიანობა და დისციპლინა პარტიის არსებობისა და ბრძოლისუნარიანობის ურღვევი საფუძველია.

ჩვენმა პარტიამ ერთიანობა და რკინისებური დისციპლინა გამოჭედა ყველა ჯურის ოპორტუნისტების წინააღმდეგ, სოციალიზმის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი პარტიაა, საბჭოთა საზოგადოების წარმმართველი და ხელმძღვანელი ძალაა. მისი, როგორც მმართველი პარტიის მონოპოლიური მდგომარეობა, განსაკუთრებით კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში, ავალებს კომუნისტებს მაღალი რევოლუციური სიფხიზლე გამოიჩინონ, რადგან ჩვენს პარტიასთან, როგორც მმართველ პარტიასთან, მიტმასნებას ცდილობენ და კვლავაც შეეცდებიან სხვადასხვა უცხო, მტრული ელემენტები.

პარტია ყველა თავის წევრს და ყველა მშრომელს ზრდის მაღალი რევოლუციური სიფხიზლის სულისკვეთებით, ნაკლოვანებათა შეუწყნარებლობის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დამრღვევთა შეუწყნარებლობის სულისკვეთებით, კრიტიკისა და თვითკრიტიკის, განსაკუთრებით ქვემოდან კრიტიკის გაბედულად გაჩაღების სულისკვეთებით.

კომუნისტების მაღალი შეგნებული დისციპლინა, მათი დარაზმულობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო იმისი უმნიშვნელოვანესი პირობაა, რომ პარტიამ შეასრულოს თავისი ხელმძღვანელი როლი, როგორც სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის სულისჩამდგმელმა და ორგანიზატორმა.

* * *

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ განვლო მშრომელთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის ხანგრძლივი და სახელოვანი გზა. იგი მტკიცე რწმენით მიუძღვის ჩვენს ხალხს კომუნიზმისაკენ. კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებულ პოლიტიკას მხურვალედ უჭერენ მხარს ხალხის მასები, იგი წარმატებით ხორციელდება.

ვ. ი. ლენინის უდიდესი ისტორიული დამსახურება ის არის, რომ მან დააარსა, გამოაწრთო და აღზარდა ჩვენი კომუნისტური პარტია. პარტიის განმტკიცებასა და განვითარებაში შესანიშნავი როლი შეასრულა ლენინის კლასიკურმა ნაშრომმა „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“.

ჩვენი პარტიის ორგანიზაციული პრინციპები, რომლებიც ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა, გახდა ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიების აშენებისა და საქმიანობის საფუძველი, პარტიებისა, რომლებიც მარქსისტულ - ლენინური დროშის ბოლომდე ერთგული არიან. თანმიმდევრულად ხელმძღვანელობენ რა იდეებით, რომლებიც განვითარებულია წიგნში „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“, მომძე პარტიები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მაგალითის მიხედვით განუხრელად განმტკიცებენ თავიანთი რიგების ერთიანობას, სულ უფრო აძლიერებენ კომუნისტების ბრძოლისუნარიანობას და მარქსისტულ-ლენინურ შეგნებულობას, ყოველი ღონისძიებით აფართოებენ მასებთან კავშირს. ყოველივე ეს ხელს უწყობს მათ იმაში, რომ წარმატებით უხელმძღვანელონ მშრომელი მასების ბრძოლას კაპიტალისტური უღლის წინააღმდეგ, ბრძოლას თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის.

ვ. დონსკოი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სილნალის რაიონი. წელს დაბა წნორის მტს-მა ცხრა ახალი კომბაინი მიიღო. მექანიზატორები გულმოდგინედ ემზადებიან მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის. **სურათებზე:** 1. (მარცხნივ) წინა პლანზე კომბაინერი ხ. ნარინდოშვილი კომბაინის აწყობაზე; 2. დაბა წნორის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. მჭედლიშვილი (მარჯვნივ) და ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ა. კუტიბაშვილი ამოწმებენ პურეულის ნათესის მდგომარეობას.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

◁ ★ ▷

მტს-ი ცუდად ხელმძღვანელობს საგაზაფხულო სამუშაოებს

„კომუნისტისა“ და რაიონული გაზეთების რეიდი

საჩხერის მტს-ის მუშაობაში არის მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი. მტს-ს ტრაქტორების გასული წლის რემონტის გეგმა არ შეუსრულებია. იყო ტრაქტორების ცუდად შეკეთების შემთხვევები. შეუკეთებლობის გამო მტს-ის სატრაქტორო პარკში დგას „კდ-35“ მარკის ორი ტრაქტორი და „დტ-54“ მარკის ერთი ტრაქტორი. ერთი ტრაქტორი „უნივერსალი“ დღესაც არ მუშაობს. ტრაქტორისტები საკმაო რაოდენობით არ გვყავსო, — აცხადებენ მტს-ში. ეს არც გასაკვირია. მტს-ის დირექცია საჭირო ღონისძიებებს არ ახორციელებს ტრაქტორისტთა შენარჩუნებისათვის, მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. მტს-ში არ არის სასადილო, წითელი კუთხე, მივიწყებულია კულტურულ-მასობრივი მუშაობა. ამის შედეგად შრომის დისციპლინა დაბალია. უდისციპლინობას ამეღავნებენ ტრაქტორისტები ბ. ძინძიბაძე და ი. შუკაკიძე.

თესვის პირველი დღეებიდანვე ადგილი ჰქონდა ტრაქტორების მოცდენას. სოფელ სარეკის ვორშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში „დტ-54“ მარკის ორი ტრაქტორი, რომელებსაც ი. აბეანდაძე და გ. ბრეგვაძე მართავენ, 25 მარტს გავიდა სამუშაოდ. ორმოც დღეში მათ მხოლოდ 88 ჰექტარი მოხნეს. გეგმა კი 200 ჰექტარს ითვალისწინებდა. ამ დღეებში ერთ-ერთ ტრაქტორს ნაწილი დაუზიანდა და იგი ერთი კვირის შემდეგაც არ იყო შეკეთებული. ერთ კვირას მოცდა ტრაქტორი ნიგვზარის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში. ტრაქტორის მოცდენის შემთხვევები არის აგრეთვე ჯალაურთის, მერჯევის, ცხამის კოლმეურნეობებში.

ტრაქტორების ხშირი მოცდენის შედეგად თესვის გეგმა არ სრულდება. თესვის ხარისხი ცუდია სარეკისა და გორისის კოლმეურნეობებში. სათანადო ნაწილის უქონლობის გამო გამოუყენებელია „სშ-6-ა“ მარკის კვადრატულ-ბუდობრივად სათესი მანქანა. აღნიშნული ნაწილის შესახებ მტს-ის დირექციამ დროულად მიმართა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლმომარაგების ქუთაისის განყოფილებას. განყოფილების გამგემ ამხ. ვ. რობაქიძემ და მთავარმა ინჟინერ-მექანიზატორმა ამხ. ი. კიკაბიძემ დახმარების ნაცვლად მტს-ს ასე მისწერეს: — თანახმად თქვენი № 541 მომართვისა გაცნობებთ, რომ სათესი მანქანა „სშ-6-ა“ — „ვომ“-ის მოწყობილობით ნაწილის რამა შეცდომით მიეღია ამბროლაურის მტს-ს. ამ ნაწილს ამ დღეებში ჩამოვიტანთ ქუთაისში, რისთვისაც საჭიროა გამოგზავნოთ თქვენი წარმომადგენელი ნაწილის მისაღებად. (სტილი დაცულია).

აქედან ჩანს, რომ სოფლმომარაგების ქუთაისის განყოფილება არ ეხმარება საჩხერის მტს-ს.

რაიონში ჯერ კიდევ სათანადო პატივისცემით არ სარგებლობს მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენება. მოსავლიანობის გადიდების ეს ნაკადი მეთოდი უგულებელყოფილია ნიგზარის მარქსის სახელობის, ლიჩის მოლოტოვის სახელობის, შომახეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში. სოფელ ჯალაურთის ვორშილოვის სახელობის კოლმეურნეობას მიმდინარე წლის პირველ და მეორე კვარტალში გამოყოფილი ჰქონდა 16 ტონა ფოსფოროვანი და 8 ტონა აზოტოვანი სასუქი, მაგრამ იგი დღემდე საწყობიდანაც არ არის გატანილი. აქ ასევე გამოუყენებელია დიდი რაოდენობის ნაკელი. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არ არის კორბოულის შვერნიკის სახელობის და შომახეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში.

მტს-ის დირექცია და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები სრულიად არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვას. ზოგიერთი კოლმეურნეობა მოუმზადებელი შეხვდა კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების თესვას. მტს-ს კი საჭირო დახმარება არ გაუწევია მათთვის. კოლმეურნეობებს აკლიათ 1.500 ცენტნერი კარტოფილის თესლი. ამის გამო კარტოფილის თესვის გეგმის შესრულება საფრთხეშია. დიდი ჩამორჩენაა ბოსტნეულის თესვაშიც. ამასთან არ ხორციელდება კარტოფილისა და ბოსტნეულის კვადრატულ-ბუდობრივი და კვადრატული თესვა.

მტს-ის ხელმძღვანელობა და სპეციალისტები ცუდად წარმართავენ ვენახებში, ხეხილის ბაღებსა და ჩაის პლანტაციებში საგაზაფხულო სამუშაოებს. ვენახებისა და ხეხილის ბაღების დამუშავება ჩამორჩა გორისის, ჭალის, საირხის კოლმეურნეობებში. ამ სერიოზულ ნაკლოვანებებს მტს-ის მუშაკები რატომღაც ურიგდებიან.

განა ეს შესაწყნარებელია? ჩამორჩენას ცუდი კლიმატური პირობებით ხსნიან, მაგრამ ამინდი არაფერ შუაშია. შექმნილი მდგომარეობის გამოსწორება მხოლოდ ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობით შეიძლება.

გაზეთ „კომუნისტის“ და საჩხერის რაიონული გაზეთის „ოქტომბრის გზის“ ბრიგადა: პ. ჯიოკაძე, აგრონომი პ. ნოზაძე, პ. ასანიძე, ს. ლაშხი, ვ. ენუქიძე.

თესვას აჭიანურებენ

ლენინგორის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებმა მაისის ხელსაყრელი ამინდები კარგად გამოიყენეს და წარმატებასაც მიაღწიეს. სოფელ წირის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ უკვე დაამთავრა სიმინდისა და კარტოფილის თესვა. ახლა თესავენ სასილოსე კულტურებს.

სიმინდის თესვაში დაწინაურდა სოფელ წინაგრის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც დათესა 90 ჰექტარი, აქედან კვადრატულ-ბუდობრივი წესით — 45 ჰექტარი. აქ კოლმეურნეებმა ბოსტნეული კულტურები დათესეს 11 ჰექტარზე. ასევე წარმატებით იმუშავეს ორჭოსნის, ბალაანის და კიტრიულის კოლმეურნეობებმა.

მაგრამ საერთოდ რაიონში საგაზაფხულო სამუშაოები შეუწყნარებლად ჭიანურდება. ხვნის დავალება შესრულებულია 70 პროცენტამდე, დიდი ჩამორჩენაა თესვაში. განსაკუთრებით გაჭიანურდა თავთავიანი კულტურების თესვა და კარტოფილის რგვა.

ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ კოლმეურნეთა საგრძნობი ნაწილი სისტემატურად არ იღებს მონაწილეობას საკოლმეურნეო შრომაში, მთლიანად არ არის გამოყენებული არსებული შესაძლებლობანი. ეს უწინარეს ყოვლისა ითქმის სოფელ ზახორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაზე, სადაც ყოველდღიურად ოცის ნაცვლად თორმეტი გუთნეული მუშაობს. აქ 8 მაისს არც ერთი გუთნეული არ მუშაობდა. 30 შრომისუნარიანი კოლმეურნე სისტემატურად აცდენს სამუშაოს. ამითაც აიხსნება, რომ ხვნა-თესვის დავალება სანახევროდაც არ არის შესრულებული.

ასეთივე მდგომარეობაა სოფელ ქურთის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში.

ცუდად ასრულებს დავალებას ლენინგორის მტს-ი. ყოველდღიურად 5-6 ტრაქტორი ნაწილის გაფუჭების, ან საწვავის უქონლობის გამო უმოქმედოდ დგას. ასეთი ფაქტები განსაკუთრებით ხშირია მეოთხე სატრაქტორო ბრიგადაში.

საჭიროა ქმედით ღონისძიებათა განხორციელება, რათა ჩამორჩენა საგაზაფხულო ხვნა-თესვაში სასწრაფოდ გამოსწორდეს.

ეკატერინე ხოცუაშვილი,
ლენინგორის რაიონული გაზეთის რედაქტორი.

ქართველი ხალხი უძველეს უკრაინასა

გურამიშვილის ოცნება

მე-18 საუკუნეში დიდმა ქართველმა პოეტმა დავით გურამიშვილმა, რომელიც უკრაინაში ცხოვრობდა, უკრაინის ურწყავი ველებისათვის სარწყავი არხებისა და წისქვილის პროექტი შეადგინა.

რომ არ დაეწვა გვალვის ნაღვერდალს,
გაგხარებოდა მომკა ყანების,
გსურდა ველებზე სისხლის ძარღვებად
არხები ლურჯად მოკამკამენი.

თურმე დახაზე არხთა პროექტი,
რომ ველს მდინარის ზვირთით ეხარა.
შენ უკრაინა, ჩვენო პოეტო,
გიყვარდა როგორც შენი ქვეყანა.

მე ვხედავ ეტრატს ჭრაქით შებოლილს...
ალბათ არც იყო შედამებული,
ეტრატით ჭრაქის შუქთან ჯდებოდი,
უკრაინაზე შეყვარებული.

წინ გედო, როგორც სატრფოს წერილი,
მისი ხორცშესხმის გსურდა მოსწრება
და უკრაინის ვრცელი ველივით
უსაზღვრო იყო შენი ოცნება.

ბული ჰბუგავდა ყანას, ბალახსაც,
სწყევლიდა ქვეყნად გვალვის გაჩენას.
გსურდა მოემკო მეტი ბარაქა
უკრაინელი კაცის მარჯვენას.

უკრაინელიც, რუსი ვაჟკაციც,
გულით გიყვარდა, ვით ძმა კეთილი.
შენ მაგდებურგის ციხის საკანში
მათთვის იჯექი კარდაკეტილი.

სხვა რა გელონა... „დავითიანით“
უმლერდი დნეპრის გაშლილ ტრამალებს
და ზუბოვკელი ქალის ტრფიალი
შენს ალალ ლექსში ველარ დამალე.

თითქოს გაგეხსნა ცათა კარები,
როცა არხები კალმით მოხაზე,
და არხებს ჰგავდნენ ლექსის პწკარებიც
მიწერილები ტყავის ქობაზე.

შემდეგ ეტრატზე, თვალანთებულმა,
არხთან დახატე ერთი წისქვილიც,
არყის ხეებით განათებული
წისქვილთან მწვანედ ჩანდა ტყის პირი.

იქნებ არაგვზე, მცხეთის სერებთან,
გქონდა წისქვილი, სუროს კალთება
და კარგი იყო ეს გახსენებაც,
როგორც წისქვილში ღამის გათევა.

ისე დაბერდი, ველარ იხილე
ველარც არხები, ველარც წისქვილი
და დაემსგავსე შენც მეწისქვილეს
გათეთრებული, ღონემიხდილი.

ვერ ნახე ველზე გადაწერილი,
ეტრატს ვერ გასცდა შენი პროექტი
და დარჩა ბედის განაჩენივით
წმიდა ოცნება ქართველ პოეტის.

არხით ჯეჯილი ველარ ახარე,
ვერ დაასხურე წყალი ტრამალებს,
უკრაინელმა ძმებმა გთხარეს
გვალვიან ველზე შენი სამარე.

და დღეს, ქვეყანას როცა მოედო
შენი ლექსი და შენი სახელი,
რათ მახსენდება ნეტავ, პოეტო,
შენი წისქვილი, შენი არხები.

რათ მახსენდება შენი ხუხულა,
წისქვილი შენგან ასე ნანატრი,
როცა დიდ ქარხნებს გააქვთ გუგუნი
და დნეპროპესის შუქი დაგვნათის.

იმ არხზე რატომ ვფიქრობ ნეტავი,
ძველთაძველ ეტრატს რატომ დავცქერი,
როცა ველები, როგორც ეტრატი,
ირგვლივ არხებით არის ნაწერი.

თავთუხის ყანებს გააქვს შრიალი,
არხებში ბრწყინავს მწვანე ბაღნარი,
მოსავალია ბარაქიანი
და მისდევს, მისდევს აღალს აღალი.

სადაც ხოროლის ზვირთებს ითვლიდი
და თავთავსავსე ველებს ნატრობდი,
ეხმაურება წისქვილს წისქვილი
და ელევატორს ელევატორი.

ელსადგურები სხივებს ჰფანტავენ,
თითქოს იქნევენ ცეცხლის მუგუზლებს
და ურეოლა უვლის მწიფე თავთავებს
კომბაინების გაბმულ გუგუნზე.

და მეჩვენება — გვიმზერ ალერსით
სვეტებედნიერი, განა ბედშავი!..
დგახარ ზუბოვკის ვაშლის ბაღებში,
გადაპენტილი ვაშლის ხესავით.

წისქვილის ნაცვლად გულში დაგიფქვავს
ხალხის ფიქრი და ტკბილი ქართული
და ძმობის ჰიმნში, რომ ქუხს კარისკარ,
შენი სიმღერაც არის ჩართული.

იოსეგ ნოდეშვილი.

19 მაისს ლესია უკრაინკას ძეგლთან გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ უკრაინის სს რესპუბლიკიდან ჩამოსული სტუმრები, ქართველი მწერლები, მეცნიერმუშაკები, კოლმეურნეები, მუშა-მოსამსახურეები, მოსწავლეები. **სურათზე:** მიტინგი ლესია უკრაინკას ძეგლთან დაბა სურამში. პოეტი ალიო მირცხულავა კითხულობს ლექსს „მშობლიურ უკრაინას“.

ფოტო გ. ლომიძისა.

ხაი ყივე უკრაინა!

გულში ფეთქავს სამი სიტყვა:
ხაი ყივე უკრაინა!
ეს დიდებად ხალხში ითქვა,
რაც რუსეთთან ძმობით ბრწყინავ.

იქღურტულე, შენც, მერცხალო,
ძმებს გასძახე: ხაი ყივე!
ჩიტო, ბუდე არ შეცვალო,
ჭერქვეშ ტკბილად დაიყივლე.

თქვი, ნიავო, თბილისიდან
დღეს კიევში შენაქროლო:
— ვინ შეგამკო, ვინ გივლიდა,
რომ არ უჩანს ლხენას ბოლო!

თქვი, ქართული ვაზის ნერგო,
დღეს ყირიმში რქანაყარო:
— ყვავილობა წილად მერგო,
მინდა მიწაც გავახარო!

თქვი, პატარა ჩაის ბუჩქო:
— დღეს ვშრიალებ დნეპრის ახლო,
მსურს შევჩენკოს ლექსი ვუქო,
მოვრთო ბულბას სამოსახლო!

თქვი, ამბავი გულსაამო,
მუხავ, მოწმევ მწუხარ დროთა:
— გურამიშვილს საგურამოც
გულში ედო მირგოროდთან!

ეღვიძება ახლა ბოგდანს,
არ ეანგდება ფარი მისი;
გზას უნათებს გმირთა მოდგმას
მეგობრობა მარადისი.

ხაი ყივე უკრაინა,
კრემლის დროშით წინ იარე!
დიდ რუსეთთან ძმობით ბრწყინავ
ქართლის ბედის მოზიარევ.

ვარლამ ჟურული.

მშობლიურ უკრაინას

შენს ბრწყინვალე ზეიმს ვხვდებით,
მზე ღაღადებს ვარდისფერად,
შენსკენ მოჰქრის მერცხლის
ფრთებით
ჩემი სიტყვა და სიმღერა.

შემოსილხარ შრომის დაფნით,
ომგადახდილს გშვენის ჯაფა,
მე ლესიას ლექსებს ვთარგმნი,
მოიგონე ჩემი პაპაც.

ხშირად ვფიქრობ და ვიხსენებ,
ძეგლი ადგას, ვით ლამპარი,
მირგოროდში განისვენებს
ჩემი დიდი წინაპარი.

ფრთამარდი და ტანად კარგი,
სამი წლის წინ, ერთხელ დილით,
ძეგლთან სამი თელა დავრგი
სამშობლოდან მოტანილი...

მახსოვს: ქალი შემხვდა ერთი,
მომაშუქა მზისებრ თვალი,
მოარხევდა ნაწნავს მკერდით
ზუბოვკიდან მომავალი.

პატივი და სტუმრის ქება
აქ პირველობს თურმე წესით,
პურმარილით მომეგება
კოლმეურნე უხუცესი.

ხოროლს გედის ფერი ჰქონდა,
წყლისპირ იდგა სოფლის ქალი,
ჩემი ხორგა მომაგონდა,
ჩემი ლურჯი ხობისწყალი...

გადმოლახა ფეხით ცხრამთა,
შედგა ამ წყლის ნაპირებთან,
აქ საკუთარ წისქვილს დგამდა
და სიმშვიდეს აპირებდა.

უფრო გრძნობდა ქართლის მწველ
ხმას,
რაც მოსწყვიტეს ლამისყანას,
შეიფარა რუსმა გლეხმა,
ძმურად შენთან მოიყვანა.

მასთან ერთად ჭირიც ნახე,
მასთან ერთად ცრემლი ღვარე,
შეიწყნარე მკვიდრი სახე
და შვილივით შეიყვარე.

მინდა, მისებრ მეც გიყვარდე,
ამაგი და შრომა მქონდეს,
ინახავდე მზეში ვარდებს,
სულ გახსოვდე, მოგაგონდე!

მქონდეს მისებრ ლექსი კარგი
და გვიგზნებდეს გულში ალებს,
ძეგლთან სამი ნერგი დავრგი,
ნეტავ ახლა თუ შრიალებს?!

ალიო მირცხულავა.

ძმათა ზეიმი

რუსი ქართველის ძმა არის ღვიძლი
(დღეგრძელი იყოს ეს წმიდა ძმობა!),
ჩვენ გვაკავშირებს უკვდავი ფიცი
და ერთგულების მაღალი გრძნობა.

უკრაინელი ძმა არის ჩვენი,
ერთმანეთს ვგავართ გმირული
ბედით, —
სისხლით მოურწყავს მამულის ბჭენი,
არ მოუხრია არასდროს ქედი...

და როცა ძმებში ზეიმობს ერთი,
მაშინ ყველა ძმის ზეიმი არის!
თქვენს დიად გუგუნს ვაშას ხმაც
ერთვის
და დნეპრს სიხარულს ულოცავს
მტკვარი.

იმედით უსმენს ქვეყანა მთელი
ერთიან გულთა მღელვარე ძახილს.
ძმებო, მიიღეთ სალამი წრფელი
და სიყვარული ქართველი ხალხის!..

ხუტა ბერულავა.

სამშობლოს მზის ქვეშ შეფიცულები

საქართველოს რომ უღელი ედგა,
უკრაინასაც ედგა უღელი,
უკრაინელი როცა მტერს ყლეტდა,
ქართველიც ჰქუხდა მკლავმოუღლელი.

არ დაემუქა ლაჟვარდებს ფერი,
ვერ გადაბერა ცეცხლმა ტყე-ველი,
თეთრჩალმიანი გავაქრეთ მტერი —
მტკვრისა და დნეპრის ამამღვრეველი.

გმირებმა დადგეს ძმობის კიდელი,
რა შეაკრთობდათ მთათა შემდრეკელთ,
მხარიმხარ იდგნენ რკინის მკვნეტელნი
ჩვენი ხმელნიცკი, ჩვენი ერეკლე.

მკერდს სიხარულის შუქი ედება,
ეს ძმობა მთაზეც უმაღლესია,
გურამიშვილი რომ გვახსენდება,
გაგვახსენდება მასთან ლესიაც.

ლექსით გაჰფანტეს ღრუბლების სისქე,
დარდიც, ბინდებად გულთან მიშლილი,
დგას უკრაინკა სურამის ცისქვეშ,
წევს მირგოროდში გურამიშვილი.

ხალხის წუხილით გულისთქმა შეძრეს,
შუქად აანთეს გრძნობა ხალასი.
ჩანგს აყღერებდნენ სამშობლოს ბედზე
ჩვენი აკაკი, ჩვენი ტარასი.

გულის დუღილი ჰქონიათ ერთი —
მზეს ჩასდგომოდა თვალში ნათელი;
უკრაინელი აკაკის ეტრფის,
შევჩენკოს ეტრფის ყველა ქართველი.

ვერც ომის ჩრდილმა გაჰყარა გზები,
ის ღამეც გვახსოვს, ის წელიწადიც:
უკრაინაში ვიბრძოდით ძმები,
მტკვარსა და რიონს დნეპრთან ვიცავდით.

მკერდით ვაპობდით ცეცხლიან გრიგალს,
რა შეგვაკრთობდა ამაყ მხედართა.
უკრაინელი კავკავთან იდგა
და დნეპრის ნაპირს თერგთან ხელავდა.

ახლა ბუნება არა სთვლემს ბინდში,
ახლა დიდებულ მზისქვეშ დარია,
ვოლგა, რიონი და დნეპრი დინჯი
ერთმანეთისკენ მიიჩქარიან.

როგორ შეიძლო არ აჰყვე ნიავს
და თუნდაც წუთით წაართვა ყური,
ეხმიანება სიმინდის შრიალს
უკრაინული ჯეჯილი პურის.

ნარინჯ-ლიმონთა ლამპრების შუქზე,
შავი ზღვა უფრო ამუქებს ფერებს,
დნეპრს ზეცის ლურჯი გუმბათი უმზერს
და სიმღერები ტრამალზე ღღერენ.

ახლა სამშობლოს არ ბურავს ნისლი,
შეგმაღლებია მხრები მთებურად,
ხარობს კიევი, თბილისი, მინსკი,
მოსკოვის მზისქვეშ შეერთებულან.

ვასილ გვეტაძე.

ქართველი მწერლები საბჭოთა უკრაინას

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა საყოველთაო დღესასწაულს—რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის დიად ისტორიულ თარიღს ქართველმა საბჭოთა მწერლებმა მიუძღვნეს დიდი კოლექტიური წიგნი „საბჭოთა უკრაინა“. მისი ყოველი სტრიქონი ღრმად არის გამსჭვალული ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობის, საბჭოთა პატრიოტიზმის, საბჭოთა ეროვნული სიამაყის უწმინდესი გრძნობებით.

ამ წიგნში მოთავსებული ლექსები და მოთხრობები, პოემებისა და რომანების ფრაგმენტები, მხატვრული ნარკვევები მრავალმხრივად, მრავალფეროვნად ასახავენ უკრაინელი და ქართველი ხალხების თანამეგობრობის ხანგრძლივ ტრადიციას, მის ახალი ძალით განვითარებას ჩვენს დიად საბჭოთა ეპოქაში. სახელოვანი კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის საფუძველზე, უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობის მეტყველ მაგალითებზე კრებულში მოთავსებული მასალა შთამაგონებლად ასახავს ჩვენი სოციალისტური ერების განუყოფელ ერთიანობას, მათს მჭიდრო და ურღვევ დარაზმულობას თავისი უფროსი ძმის — დევგმირი რუსი ხალხის გარშემო.

კრებულის პირველსავე სტრიქონებში პოეტი გრიგოლ აბაშიძე ასახავს და უმღერის ჩვენი ხალხების სასწაულებრივად დიად აწმყოსა და გმირულ წარსულს, მათი ისტორიული ბედის ერთიანობას:

„ჩვენი ქვეყნები...
მათ თავზე ზავთით
რამდენ ქარიშხალს გადაუვლია!
მარტო ეს აწმყო კი არა, მათი
თვითონ წარსულიც სასწაულია!
იყო ორივე მტრისგან ნათქერი,
ცად ადიოდა ხანძრის ალმური...
და ახლა, როცა კანეეს გავაცქერი, —
ჩემს თვალწინ შავად დგას წიწამური“.

ამ მრავალსახე ისტორიულ ქარტეხილებში გმირულად გამოვლილი ჩვენი ხალხები ერთიან განუყოფელ ოჯახად შეაკავშირა დიადმა საბჭოთა სინამდვილემ. ამიტომაც ქართველი საბჭოთა პატრიოტისათვის მთამე უკრაინის მიწაწყალზე ყველაფერი უზომოდ შშობლიური და ახლობელია. უკრაინელ ბუნებას იგი განიცდის როგორც თითქოს ბავშვობიდან შესისხლხორცებულ გარემოს, ხოლო უკრაინელი თანამემამულეები თავის მკვიდრ ძმებად და მეზობლებად მიაჩნია. საბჭოთა ადამიანისათვის ეს სავსებით დამახასიათებელი და ტიპიური განცდაა გამოხატული ირაკლი აბაშიძის ლექსში „უკრაინაში“:

„ზრიალით შემხვდება
ზე რტოებგაწვდილი,
ზორიდან მიღიშის
თავთავი გულწრფელი.
ეს თითქოს ნახევრად
მათთან ვარ გაზრდილი
და ჩემი ბალღობის
ნაკვალევს ვუცქერი“.

წიგნში მოთავსებული მდიდარი და მრავალფეროვანი მასალა თვალწინ გადაგვიშლის უკრაინელი ხალხის გმირული ისტორიისა და დიადი დღევანდელობის ამსახველ ეპიზოდებს, უკრაინელ და ქართველ ხალხთა თანამეგობრობის ხანგრძლივი ისტორიის მეტყველ სურათებს.

ბუნებრივია, რომ კრებულის მონაწილე ქართველი მწერლები წრფელი სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით მოსავენ ჩვენს სახელოვან წინაპარს — მე-18 საუკუნის დიდ ქართველ პოეტს დავით გურამიშვილს, რომელიც თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით პირველმა განასახიერა ქართულ ლიტერატურაში რუს, უკრაინელ და ქართველ ხალხთა ძმური მეგობრობის უკვდავი იდეა.

დავით გურამიშვილი პირველი ქართველი მწერალი იყო, რომელიც, სიმონ ჩიქოვანის სიტყვებით რომ ვთქვათ:

„ხმები აანთო მშობლიურ ლერწმით,
შეძლო ტკივილის სხვაგვარი თხრობა
და სამი ხალხის სიმღერის შერწყმით
სთქვა მეგობრობის პირველი გრძნობა“.

რუსი, უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობის გრძნობის ამ პირველ გამომთქმელსა და მომღერალს, ხალხთა ძმობის ღრმა ისტორიული ტრადიციების ამ უკვდავ მომღერალს ქართველი მწერლები დამსახურებული მადლიერებისა და სიყვარულის გრძნობით მოსავენ. გიორგი ლეონიძე მიმართავს დავით გურამიშვილს:

„იხარე, დავით! ქართლის ჭირს და ცრემლს
უკვე გასვლია ყველა ვადები,
სამართველოში გაზაფხულია,
უკრაინაში ყვავის ვარდები“.

დავით გურამიშვილის ცხოვრება უკრაინაში, მირგოროდი, ზუბოვკა, ის მიდამოები, სადაც სამშობლოდან გადახვეწილი ქართველი პოეტი ქმნიდა უკვდავ „დავითიანს“, გურამიშვილის სამარეზე უკრაინელი ხალხის მიერ აღმართული დიდებული ძეგლი — ყოველივე ეს თანამედროვეობის თვალსაზრისით გაანზრებული და მეტყველად ასახულია კარლო კალაძის ლექსების ციკლი „სიმღერები დნეპრის პირას“. ამ ლექსების დიდი ღირსება ის არის, რომ მთაში წარსული კეთილშობილური ტრადიციები ორგანულად არის დაკავშირებული ჩვენი დროის მოვლენებთან, დიდი უკრაინელი კობზარის ტარას შევჩენკოსა და დავით გურამიშვილის საყვარელი სახეები გაცოცხლებულია როგორც ჩვენი ხალხების მარადიული ძმობისა და სიახლოვის, ჩვენი სამშობლოს უკვდავებისა და უძლეველობის სიმბოლო.

მაყვალა მრევლიშვილმა ლექსების ციკლში „უკრაინაში“ ცხოვლად აღბეჭდა მირგოროდში დავით გურამიშვილის ძეგლის საზეიმოდ გახსნისას მიღებული შთაბეჭდილებანი. ამასვე გადმოგვცემს ალიო ადამიას ლექსი: „დეკემბერია... მირგოროდს ათოვს“, შალვა ამისულაშვილის „მირგოროდელი მეგობარი“, თეიმურაზ ჯანგულაშვილის „მირგოროდში“ და სხვ.

ისტორიისა და თანამედროვეობის მოვლენათა მთლიან გააზრებაზეა დამყარებული კრებულში მოთავსებული ფრიად საყურადღებო მხატვრული ნარკვევები — ლევან ასათიანის „დავით გურამიშვილის საფლავთან“, გიორგი შატბერაშვილის „უკრაინაში“ და ალექსანდრე ჭეიშვილის „დღეები უკრაინაში“.

ქართველი პოეტები შთამაგონებლად უმღერიან უკრაინელი ხალხის სახელოვან შვილს — უკვდავ კობზარს ტარას შევჩენკოს, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი მებრძოლი, რევოლუციონერი პოეტია მთელ მსოფლიო ლიტერატურაში და რომლის „მრისხანე მუზაც“ სწორუპოვრად უმღეროდა ჩვენი სამშობლოს ხალხების თავისუფლებასა და ბედნიერებას. კავკასიის ხალხები და მათ შორის ქართველი ხალხი ყოველთვის მადლიერების გრძნობით მოიგონებენ იმ ღრმა თანაგრძნობას, რომლითაც კავკასიის ქედზე მიჯაჭვულ პრომეთეოსს ხატავდა უკვდავი ტარას შევჩენკო თავის შესანიშნავ პოემაში „კავკასი“. ასეთი მადლიერებისა და მშობლიური სიყვარულის გრძნობით არის აღბეჭდილი კრებულში მოთავსებული ლექსები გიორგი ლეონიძისა: „ტარას შევჩენკოს“, გიორგი ქუჩიშვილისა „ტარას შევჩენკოს“, ვალერიან გაფრინდაშვილისა „ტარას შევჩენკოს“ და „შევჩენკოს პორტრეტის წინ“, გიორგი კაკახიძისა „მღერის შევჩენკო“, კალე ბობოხიძისა „უკრაინის დიდი მომღერალი“, ვასო გორგაძის „ტარას შევჩენკოს“ და სხვები.

ლექსში „ტარას შევჩენკო და აკაკი წერეთელი“ ხარიტონ ვარდოშვილი ასახავს ამ ორი დიდი პოეტის მგზნებარე თანამეგობრობას და გამოთქვამს ჩვენს საყოველთაო რწმენას, რომ:

„ამ ორ დიდოსტატს უკვდავი ლექსის
ეამი ვერასდროს ვერ დაბერებს.
ძმობის იდეა უბრწყინვალესი
მათ უანდერძეს მშობლიურ ერებს“.

ასეთივე აღფრთოვანებული გრძნობით ადიდებენ კრებულის მონაწილე პოეტები უკრაინელი ხალხის სახელოვან შვილს — ლესია უკრაინკას, რომლის ცხოვრების ისტორიაც აგრეთვე უკრაინელ და ქართველ ხალხთა მეგობრობის ძვირფას ტრადიციას განასახიერებს. კარლო კალაძის ლექსი „ლესია უკრაინკას ძეგლი სურამში“, სანდრო ეულის „ყვავილი ხარ, „ქვატეხელა“, სიმონ ჩიქოვანის „ტყის სიმღერა“, ხუტა ბერულავას „ლესია უკრაინკას ძეგლი სურამში“, ვახტანგ გორგაძეს „სურამში, ლესია უკრაინკას ძეგლთან“, ნაზი კილასონიას „ლესია უკრაინკას“, თამაზ ჭილაძის „ლესია“ ჩვენს ცნობიერებაში აცოცხლებენ დიდი უკრაინელი პოეტი ქალის დაუვიწყარ სახეს. ამ ლექსებში გამოთქმულია ქართველი ხალხის კანონიერი ამაყოფილებისა და სიამაყის გრძნობა იმის გამო, რომ უკრაინული ლიტერატურის ამ დიდმა კლასიკოსმა თავისი შესანიშნავი ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი საქართველოში გაატარა და აქ შექმნა მრავალი უკვნობი პოეტური შედევრი.

თვითმპყრობელობისა და მემამულური კაპიტალისტური წყობილების დასამხობად უკრაინელ და ქართველი ხალხების საუკეთესო შვილთა ერთობლივი ბრძოლის შესახებ მოგვითხრობს იაკინთე ლისაშვილის რომანის „ეეცხოველის“ ერთი თავი „უკრაინაში“.

კრებულში მოთავსებულია ილო მოსაშვილის ლექსი „მარიამ დემჩენკოს“, რომელიც ერთ-ერთი პირველი ნაწარმოები იყო ქართულ საბჭოთა პოეზიაში უკრაინელი ხალხის შვილთა შრომითი გმირობის თემაზე.

დიდი სამამულო ომის წინა წლებში აღმოცენდა უკრაინელ და ქართველ კოლმეურნეთა სამაგალითო თანამეგობრობა, რომელმაც მთელი მრავალეროვანი საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. ამ დიდი შრომითი მეგობრობისა და თანამშრომლობის აღმოცენება-განვითარებაზე მოგვითხრობს სოციალისტური შრომის გმირი მიხეილ ორაგველიძე თავის ნაწარმოებში „მეგობრობა“.

კრებულში მოთავსებული მასალის დიდი ნაწილი მიძღვნილია დიდი სამამულო ომის წლებში უკრაინელი ხალხის სწორუპოვარი გმირობისადმი, იმ საბრძოლო თანამეგობრობისადმი, რომელმაც ამ დიდ ომის ჭარეცცლში ახალი წრთობა მისცა საერთოდ სსრ კავშირის ხალხების, კერძოდ უკრაინელ და ქართველ ხალხთა განუყოფელ ძმობას.

საბჭოთა კავშირის გმირი დავით ბაქრაძე ნაწარმოებში „გმირთა სისხლი“ აგვიწერს ვერაგ მტრის მიერ დროებით ოკუპირებულ უკრაინის მიწაწყალზე საბჭოთა პარტიზანების მიერ გაჩაღებული თავგანწირული ბრძოლის ამაღელვებელ ეპიზოდებს. სამამულო ომის მრისხანე დღეებში უკრაინელი ხალხის შვილთა უკვდავ საგმირო საქმეებს ასახავენ თავიანთ მოთხრობებში გამოჩენილი ქართველი ბელეტრისტები სერგო კლდიაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ალექსანდრე ქუთათელი და სხვები. კ. ლორთქიფანიძის მიერ დახატული სახე უკრაინელი მებადურის ვასილ ყიგასი (მოთხრობაში „როგორ მოკვდა მოხუცი მებადური“), სერგო კლდიაშვილის მოთხრობა „ერთი მოხუცის ამბავის“ მთავარი გმირი — უკრაინელი მოხუცი გლეხი ნიკიტა და ალ. ქუთათელის მოთხრობა „მენავეში“ გამოხატული საბჭოთა მებრძოლები თვალსაჩინო აღგილს იმსახურებენ მწერლების მიერ დახატულ სამამულო ომის გმირთა სახეების გალერეაში. იგივე უნდა ითქვას დემნა შენგელაიას მოთხრობის „წითელი ყაყაჩოს“ გმირის — კიეველი საბჭოთა ოფიცრის პილიპენკოს შესახებ. სამამულო ომის ფრონტებზე ქართველ და უკრაინელ მშრომელთა გმირული მეგობრობის ნათელი სურათებია დახატული რაფიელ გვეტაძის „მართალ ნოველებში“ და სოლომონ თავაძის რომანში „მიისის განთიადი“.

აკაკი ბელიაშვილის ნოველაში „ზღვასთან“ მოთხრობილია, თუ რა სიყვარულითა და შშობლიური მზრუნველობით იყვნენ გარემოსილნი ომის დღეებში სამკურნალოდ საქართველოში ჩამოსული საბჭოთა მეომრები და მათ შორის უკრაინელი ჯარისკაცები.

რომანში „განთიადი“ თინა დონაშვილი ხატავს სამამულო ომის წლებში ქართველ და უკრაინელ კოლმეურნეთა ძმური ურთიერთდახმარებისა და შრომითი მეგობრობის სურათებს.

უკრაინელი ხალხის გმირულ ბრძოლას დიდი სამამულო ომის წლებში და ამ ბრძოლაში ჩვენი სამშობლოს ხალხთა შვილების ძლევამოსილ მეგობრობას ასახავენ აგრეთვე კრებულში მოთავსებული მოთხრობები გრიგოლ ჩიქოვანისა — „მეასედ შეხვედრა“, მარიამ გარიყულისა — „დურგალი ბიბო“ და სხვ.

ომისქარცეცხლში გახვეული საბჭოთა უკრაინის გმირულ ბრძოლას, უკრაინელ და ქართველ მებრძოლთა თავდადებულ ძმობას უმღერის კრებულში მოთავსებული მრავალი პოეტური ნაწარმოები: გალაკტიონ ტაბიძის „დნეპრი“, ალ. აბაშელის „ქართველი მეომრის წერილი უკრაინელი ჯარისკაცისადმი“, ნაწყვეტები სანდრო შანშიაშვილის პოემიდან „დედა“, იოსებ ნონეშვილის პოემიდან „ამბავი ერთი ქალიშვილისა“, ილო მოსაშვილის ლექსები: „ზაპოროჟიელებს“ და „შენ უკრაინის ჭალარა დედავ“, იოსებ გრიშაშვილის „ხარკოვი ჩვენია“ და სხვები.

ქართული საბჭოთა პოეზია აღფრთოვანებით გაბედულმაურა უკრაინის დედაქალაქი — კიევის განთავისუფლებას ჰიტლერელ ბარბაროსთა ურდოებისაგან. მთელი ჩვენი ხალხის აღფრთოვანებული გრძნობა გამოთქვა ალიო მირცხულავამ განთავისუფლებული კიევისათვის მიძღვნილი ლექსის სტრიქონებში:

„ქუჩებში დაჰქრის დროშების ქარი,
შორს იფანტება კვამლის თალხები,
ბრძოლის ჰიმნს გიმღერს შევჩენკოს ქნარი
და ლაღად გარწევს დნეპრის ტალღები.
შენ ისევ დგახარ მხნე და მედგარი,
სულს არ გიხუთავს მტერი ვერანი,
გრგვინავს ლაშქარი! ყალყზე შემდგარა
ბოგდან ხმელნიცკის მკვირცხლი მერანი“.

კრებულში მოთავსებული მრავალი ლექსი, მოთხრობა ასახავს და უმღერის უკრაინელი და ქართველი ხალხების ძმურ თანამშრომლობას ომისშემდგომი მშვიდობიანი შენებლობის პერიოდში, საბჭოთა ხალხის აღორძინებულ დიად ბრძოლაში კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის, მსოფლიოს ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. ამ თემებზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის აღსანიშნავია: ი. გრიშაშვილის „ქართული ციტრუსები უკრაინაში“, ა. სულაკაურის „წერილი უკრაინელი მეგობრისადმი“, მარიკა მიქელაძის „ციტრუსები უკრაინაში“, რ. ჯაფარიძის მოთხრობა „სადგურის მეკარე“, რ. ქორქიას ნოველა „თეთრი ცა“, ე. ზედგინიძის მოთხრობა „ნარინჯის ფოთოლი“, მ. ასათიანის ნოველა „ოქსანა“, მ. ლებანიძის „გრიცკო“ და ა. შ.

უკრაინელ და ქართველ ხალხთა ურთიერთმეგობრობის მაღალი გრძნობებია გამოხატული რევაზ მარგიანის ლექსში „უკრაინელ პოეტებს“, ალეკო შენგელიას ლექსში „ძმობა“ და შალვა აფხაიძის ლექსში „მიკოლა ბაჟანს“.

სამამულო ომის ქარცეცხლიდან ძლევამოსილად გამოსული, აღორძინებული, გმირული შრომის პათოსით მოცული უკრაინის ფერადოვანი სურათებია დახატული კრებულის მონაწილე პოეტების: მარიჯანის, ანდრო თევზაძის, ოთარ ჭელიძის, აკაკი გეწაძის, ვასილ გვეტაძის, ნოდარ გურეშიძისა და სხვათა ლექსებში. რუსეთთან უკრაინის სამუდამოდ შეერთებისათვის დაუცხრომელი მებრძოლის, დიდი უკრაინელი სახელმწიფო მოღვაწისა და მხედართმთავრის ბოგდან ხმელნიცკის საგმირო საქმეებისადმი მიძღვნილი ხუტა ბერულავას ლექსი „ბოგდან ხმელნიცკის“ და იასამანის „პერეიასლავის რადა“.

კრებულში წრფელი გრძნობით არის გამოთქმული საბჭოთა ხალხების საყოველთაო სიყვარული და მადლიერება დიდი რუსი ხალხისადმი, რომელიც ღირსეულად უდგას სათავეში საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახს, მთელ პროგრესულ კაცობრიობას — მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხებს.

დევგმირი რუსი ხალხისადმი ასეთი საყოველთაო სიყვარულის უწმიდესი გრძნობით არის აღბეჭდილი კრებულში მოთავსებული ლექსები გრიგოლ აბაშიძისა „ისტორიის გაკვეთილი“ და „წითელ მოედანზე“, ირაკლი აბაშიძისა — „ნეტავ უეცრად ამ ალაზნიდან“ და „სტალინგრადი“, ალექსანდრე გომიაშვილისა — „სიმღერა ვოლგაზე“, სანდრო შანშიაშვილისა — „ვოლგადონის დიდი არხი“ და მრავალი სხვა.

ვერ ვიტყვით, რომ საბჭოთა უკრაინისადმი მიძღვნილ ამ კრებულში მოთავსებული ყოველი ნაწარმოები მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით თანაბრად მაღალ დონეზე იდგეს. კრებულის რედაქცია ზოგიერთ შემთხვევაში ამ მხრივ აშკარა კომპრომისზე წასულა, მაგრამ ეს შეეხება მხოლოდ ცალკეულ ნაწარმოებებს. მთლიანად კი კრებული „საბჭოთა უკრაინას“ ქართული საბჭოთა ლიტერატურის მაღალი იდეურობისა და შემოქმედებითი დაწინაურების მომასწავებელი წიგნია. იგი ქართული მწერლობის ღირსეული წვლილია რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის დიად სახალხო დღესასწაულში.

კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს კრებულის გამოცემის მაღალი კულტურა, მისი საუცხოო პოლიგრაფიული გაფორმება. „სახელგამის“ მუშაკებს ამ მხრივ ენერგიულად უმუშავნიათ.

გესარიონ ულენტი.

ჟენევის თათბირის გარშემო

ჟენევა, 19 მაისი. (საკადესის სპეც. კორ.). 9 ქვეყნის დელეგაციები დახურულ სხდომებზე კვლავ განიხილავენ ინდოჩინეთში შშვიდობის აღდგენის საკითხს. მიუხედავად ამისა, დასავლეთის ზოგიერთმა გაზეთმა და სააგენტომ როგორც გუშინ, ისევე დღეს გამოაქვეყნა სხდომების დაწვრილებითი ანგარიშები, რომელთა ტენდენციურობა თვალში გეცემათ. ამ „ანგარიშების“ დანშნულება ის არის, რომ მოახდინოს საზოგადოებრივი აზრის დეზინფორმაცია, ყალბად გააშუქოს იმ დელეგაციების პოზიცია, რომლებიც ცდილობენ მოაწესრიგონ ინდოჩინეთის საკითხი ინდოჩინეთის ყველა ხალხის ეროვნულ უფლებათა აღიარების საფუძველზე.

საფრანგეთის ფრანს პრესის სააგენტომ პირველი დახურული სხდომის შემდეგ, რომელიც 17 მაისს გაიმართა, გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიც ამტკიცებდა, თითქოს საბჭოთა დელეგაციის მეთაურს — ვ. მ. მოლოტოვს „წამოეყენებინოს პრობლემა, რომ ლაოსისა და კამბოჯის საკითხები გამოეყოს ვიეტნამის საკითხს“.

ჟენევის თათბირის დამსწრე უცხოეთის ნაცად ჟურნალისტებშიც კი გამოიწვია გაკვირვების გრძნობა საფრანგეთის სააგენტოს კორესპონდენტის ამ უაზრო მტკიცებამ. ყველას ახსოვს სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლთა გამოსვლები პლენარულ სხდომებზე, როცა მათ ამხილეს საფრანგეთის, აქერიკის შეერთებული შტატებისა და ლაოსისა და კამბოჯის მარიონეტული მთავრობების დელეგაციების „არგუმენტაციის“ სიყალბე და უსაფუძვლობა. ეს დელეგაციები ცდილობდნენ კხმერისა და პატეტ-ლაოს საკითხი მოეწყვიტათ ვიეტნამის საკითხისათვის. ცნობილია, რომ ვიეტნამის, კხმერისა და პატეტ-ლაოს სახელმწიფოები გეოგრაფიულად ერთ მთელს შეადგენენ და მჭიდრო ურთიერთობა აქვთ ყველა დარგში. ინდოჩინეთის ამ სამი სახელმწიფოს ხალხები მჭიდრო სოლიდარობით არიან დაკავშირებულნი ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ცნობილია, რომ კხმერის წარმომადგენლობის მთავრობა, რომელიც ამ ქვეყნის ხალხის ნებას გამოხატავს, კონტროლს უწევს მისი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს, სადაც წარმატებით ხორციელდება დემოკრატიული გარდაქმნები. პატეტ-ლაოში მოსახლეობის ფართო ფენები მჭიდროდ არიან დარაზმულნი წინააღმდეგობის მთავრობის გარშემო, რომელიც სათავეში უდგას ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ფართოდ ცნობილი მონაკემეხის თანახმად, ამ ქვეყნის თითქმის ნახევარი განთავისუფლებულია უცხოელთა ბატონობისაგან და მარიონეტული მთავრობის კონტროლისაგან.

ასეთია ფაქტები, რომლებსაც აშკარად არ უწევენ ანგარიშს საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ზოგიერთი სხვა იმ სახელმწიფოს წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობენ ჟენევის თათბირზე ინდოჩინეთის საკითხის განხილვაში.

ამ ქვეყნების წარმომადგენლები ცდილობდნენ კხმერისა და პატეტ-ლაოს დემოკრატიული მთავრობები დაეხატათ როგორც „აჩრდილები“, ხოლო ამ ქვეყნების ხალხთა სახალხო-განმათავისუფლებელ მოძრაობას ხატავდნენ, როგორც ვიეტნამის „შეჩრას“. ეს პოზიცია, რომელიც ეწინააღმდეგება აშკარა ფაქტებს, როგორც ცნობილია, აისახა საფრანგეთის დელეგაციის წინადადებებშიც, რომლებიც ითვალისწინებენ ლაოსისა და კამბოჯის საკითხის განხილვას ვიეტნამის საკითხისაგან დამოუკიდებლად. ცხადყო რა ასეთი მოთხოვნის უსაფუძვლობა, ვ. მ. მოლოტოვმა, როგორც ცნობილია, 14 მაისს პლენარულ სხდომაზე განაცხადა: „საფრანგეთის პროექტში სათანადოდ შეფასებული არ არის ლაოსსა და კამბოჯაში გაჩაღებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა. ამასთან, არ შეიძლება ინდოჩინეთის მდგომარეობის საკითხი ამოიწუროს მხოლოდ ვიეტნამის ამბებით“.

ასეთია ფაქტები, რომლებიც შეეხება სხვადასხვა დელეგაციების პოზიციებს ამ საკითხზე, საკვირველია, თუ არა ლაოსისა და კამბოჯის საკითხის განხილვა გამოეყოს ვიეტნამის საკითხის განხილვას. ეს ფაქტები ფართოდ არის ცნობილი, და ამიტომ ყველა განაცვიფრა იმ, თავდაჭერილად თუ ვიტყვით, თავისუფალმა მოპყრობამ ფაქტებისადმი, რომელიც დაუშვა საფრანგეთის სააგენტოს კორესპონდენტმა, როცა საბჭოთა დელეგაციას მიაწერა წინადადება იმის შესახებ, რომ ლაოსისა და კამბოჯის საკითხი გამოეყოს ვიეტნამის საკითხს“.

მაგრამ დეზინფორმაციის მოყვარულნი არ ცხრებიან. ამჯერად საქმე შეეხება რეიტერის სააგენტოს მიმომხილველს სტენლი პრიდლს. ჟენევიდან გაგზავნილ კორესპონდენციაში თათბირის დახურული სხდომის შესახებ, რომელიც 18 მაისს გაიმართა, იგი ამტკიცებს, რომ „დასავლეთის დელეგაციები გააკვირვა (!) იმ ძლიერმა მხარდაჭერამ, რაც გაუწია საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიეტსლავ მოლოტოვმა ვიეტმინის მოთხოვნას — რომ ლაოსსა და კამბოჯაზე გავრცელდეს საერთო პოლიტიკური მოწესრიგება“. ამ ინფორმაციას რომ წაიკითხავს, ყოველ დამკვირვებელს, რომელიც რამდენადაც იცნობს ფაქტებს, შეუძლია იკითხოს: კაცმა რომ თქვას, რატომ „არიან გაკვირვებული“ დასავლეთის დელეგაციები? ინგლისელმა კორესპონდენტმა ხომ არ გამოიგონა ეს „გაკვირვება“ საზოგადოებრიობის დეზინფორმაციის იმავე მიზნით, რასაც 17 მაისის ცნობით ისახავდა მისი ფრანგი კოლეგა?

თათბირზე ინდოჩინეთის საკითხის შესახებ სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები იცავენ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც გაითვალისწინებდა ინდოჩინეთის სამივე სახელმწიფოს კანონიერ ინტერესებს. ამ სამი დელეგაციის პოზიცია ნათელია. იგი ბარაერთხელ ყოფილა გამოცხადებული და მას მხარს უჭერს ყველა ადამიანი, ვინც კი ნამდვილად ემხრობა ინდოჩინეთის საკითხის შშვიდობიან მოწესრიგებას. სწორედ ამიტომ არ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ წარმატება ექნება რაიმე ცდას — შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოებრივი აზრი ამის შესახებ, თუ მართლაც რა ხდება ჟენევის სხდომებზე ინდოჩინეთის საკითხის განხილვის დროს.

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი

ჟენევა, 19 მაისი. (საკადესის სპეც. კორ.). დღეს ცხრა დელეგაციის დახურული სხდომა განაგრძობდა ინდოჩინეთში შშვიდობის აღდგენის საკითხის განხილვას.

შემდეგი დახურული სხდომა გაიმართება 21 მაისს.

ამერიკის მხარემ დაარღვია შეთანხმება კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 20 მაისი. (საკადესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება: 18 დღის განმავლობაში, 1-დან 18 მაისამდე ამერიკის სამხედრო თვითმფრინავები 15 ჯგუფად შეიჭრნენ სამაერო სივრცეში კორეა-ჩინეთის მხარის ტერიტორიაზე. გუშინ 10 საათსა და 30 წუთზე ამერიკის სამხედრო თვითმფრინავმა დაზვერა კესონი, სადაც იმყოფება დაზავების სამხედრო კომისიის კორეა-ჩინეთის დელეგაციის შტაბი. ამასთან დაკავშირებით დაზავების სამხედრო კომისიის მდივანთა გუშინდელ სხდომაზე ჩინეთ-კორეის მხარემ პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკელებმა დაარღვიეს შეთანხმება დაზავების შესახებ.

აიკრძალოს მასობრივი მოსპობის იარაღი

ჟენევა, 20 მაისი. (საკადესი). გაზეთმა „ეუა უერიერმა“ გამოაქვეყნა შვეიცარიის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციის ტექსტი „პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ“, რომელიც მიღო პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 15 და 16 მაისის სხდომაზე.

რეზოლუცია მოითხოვს ბრძოლას ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის, ხალხთა შორის შშვიდობისა და თანამშრომლობისათვის.

„უნდა მოვთხოვოთ ფედერალურ საბჭოს, — ნათქვამია რეზოლუციაში, — რომ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებისათვის მან მხარი დაუჭიროს მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვას და ყოველგვარ ინიციატივას ამ მიმართულებით“.

დამთავრდა ევროპის ქვეყნების ახალგაზრდობის კონფერენცია

ბერლინი, 20 მაისი. (საკადესი). გუშინ დამთავრდა ევროპის ქვეყნების ახალგაზრდობის კონფერენცია, რომელიც გაიმართა ლოზუნგით — ბონისა და პარიზის ხელშეკრულებათა წინააღმდეგ, შშვიდობისა და ევროპის ახალგაზრდობის მეგობრობისათვის.

საბოლოო სხდომაზე გამოვიდნენ ბულგარეთის, სსრ კავშირის, ინგლისის, დასავლეთ გერმანიის, ავსტრიის, შვეიცის, საფრანგეთის, უნგრეთის, ჰოლანდიის, ნორვეგიის დელეგატები.

დასასრულ კონფერენციის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მიმართვა ევროპის ახალგაზრდობისადმი.

საგაფიცვო მოძრაობა კაპიტალისტურ ქვეყნებში

მონტევიდეო. როგორც გაზეთი „იმპრენსა პოპულარი“ იუწყება, ამის წინათ ბრაზილიაში გაიმართა ბრაზილიის ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა საყოველთაო 48 საათის გაფიცვა. გაფიცვა გამოცხადდა ნიშნად პროტესტისა იმის წინააღმდეგ, რომ ჯარებმა ჩააბეჭეს სტუდენტთა დემონსტრაცია ქალაქ ბელემში (ბარას შტატი). დემონსტრაცია მოეწყო აპრილში, იმის შედეგად, რომ ჯარისკაცები თავს დასხმენ სტუდენტებს, დემონსტრაციის ბევრი მონაწილე დაიჭრა. გაფიცულნი მოითხოვდნენ დაესაჯათ გარნიზონის კომენდანტი გენერალი ხოსე ინასიო ვერისიმო და დემონსტრანტების სხვა დამრბევნი.

ლონდონი. პრესა იუწყება, რომ 16 მაისს ნიუტონ-აბოტის (დევონშირი) რკინიგზის კვანძის მემანქანეთა და მეცეცხლურთა გაფიცვას, რომელიც 16 მაისს დაიწყო, გუშინ შეუერთდა ლონდონის უდიდესი რკინიგზის კვანძის პადინგტონისა და ბრისტოლის კვანძის ორი ათასამდე მემანქანე და მეცეცხლური.

გაფიცვის შედეგად მთელ რიგ რკინიგზის ხაზებზე მკვეთრად შემცირდა სატვირთო და სამგზავრო მატარებელთა მიმოსვლა. 17 მაისს დევონის საგრაფოს მარტო ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში მოახსნა 70 მატარებელი.

რკინიგზელები პროტესტს აცხადებენ ახალი წესების შემოღების წინააღმდეგ, რომლებიც აუარესებენ შრომის პირობებს.

18 მაისი. (საკადესი).

დამთავრდა საყოველთაო გაფიცვა ჩილში

ნიუ-იორკი, 19 მაისი. (საკადესი). როგორც სააგენტოების ცნობებიდან ჩანს, 48 საათის საყოველთაო გაფიცვამ ჩილში დიდი წარმატებით ჩაიარა.

როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო პროფკავშირის 450 ათასმა წევრმა.

გვატემალის მუშათა გაფიცვა

ნიუ-იორკი, 18 მაისი. (საკადესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი გვატემალიდან იუწყება, ისაბალში გრძელდება ამერიკის კომპანია „იუნაიტედ ფრუტ კომპანის“ 5 ათასი გვატემალელ მუშის გაფიცვა. მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა ხელფასის გადიდების მოთხოვნებისათვის მხარდასაჭერად, აგრეთვე ჰონდურასის მუშებისადმი სოლიდარობის ნიშნად, რომლებიც გაფიცული არიან 30 აპრილიდან.

თ ბ ი ლ ი ს ი

გამოცდების პირველი დღე



გუშინ საქართველოს სსრ სკოლებში დაიწყო კლასიდან კლასში გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები. ათასობით მოსწავლე მტკიცე ცოდნით აღჭურვილი წარსდგა მასწავლებელთა წინაშე.

წლევანდელი გამოცდები მკვეთრად განსხვავდება გასული წლის გამოცდებისაგან. მოსწავლეთა გადატვირთვის თავიდან აცილების მიზნით მთავრობამ მნიშვნელოვნად შეამცირა გამოცდების რაოდენობა. მაგრამ გამოცდების რიცხვის შემცირებამ ოდნავაც არ შეანელა მოსწავლეთა პასუხისმგებლობა ცოდნის დაუფლებისათვის.

გამოცდების პირველ დღეს კარგი მომზადება გამოამჟღავნა და კერძოდ წერითი სამუშაოები საუკეთესოდ შეასრულა თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, სტალინირის, გორის, რუსთავის, თელავის და მთელი რიგი სხვა ქალაქების და რაიონების სკოლების მოსწავლეთა დიდმა უმრავლესობამ. ამ დღემ ცხადყო, თუ რა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით გარემოსილმა მოსწავლეებმა.

სურათზე: (მარცხნიდან) 1. თბილისის ვაჟთა მე-12 საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეები გამოცდას აბარებენ ბოტანიკაში; 2. თბილისის ქალთა მე-6 საშუალო სკოლის ნე-11 კლასის მოსწავლეები ასრულებენ საგამოცდო წერით სამუშაოს ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

ფოტო ვ. გინზბურგისა და გ. ვახტანგაძისა.

ქალაქის ქრონიკა

ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენცია

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ასპირანტთა მეექვსე სამეცნიერო კონფერენცია, რომელმაც განიხილა ასპირანტთა ცხრა მოხსენება.

სამეცნიერო კონფერენცია მთლიანად მიეძღვნა სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის ამაღლებას, მინერალური სასუქების, სარწყავი სისტემების გამოყენების საკითხებს. ცხოველი ინტერესი გამოიწვია ასპირანტების შ. ქეშელაშვილის მოხსენებამ „კვების სხვადასხვა რეჟიმის გავლენა ვაშლის ხის მოსავლიანობაზე მუხრანის საბჭოთა მეურნეობის პირობებში“ და რ. ჩხაიძის — „ადგილობრივი ველური შინდის ნაყოფის გამოყენება ხილის წვენების წარმოებაში“. აღნიშნული ველური ნაყოფის ქიმიურ-ტექნოლოგიურად შესწავლა-გამოკვლევა კარგ მაჩვენებლებს იძლევა მომავალში მისი გამოყენებისათვის კვების მრეწველობაში.

სტუმრად ახალგაზრდა მეცნიერებთან

მტკიცე მეგობრობა აკავშირებს საქართველოსა და აზერბაიჯანის ახალგაზრდა მეცნიერებს. ამის წინათ საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერები სტუმრად იყვნენ აზერბაიჯანელებთან. რამდენიმე დღის წინ კი საქართველოში სტუმრად იყო ჩამოსული აზერბაიჯანის ახალგაზრდა მეცნიერთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ფ. ფარაჯევი. გულთბილ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა ორი რესპუბლიკის ახალგაზრდა მეცნიერთა შეხვედრის საღამომ.

სტუმრებმა დათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, გაეცნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების მუშაობას.

შეხვედრა მწერალ ილო მოსაშვილთან

ამ დღეებში თბილისის ვაჟთა 24-ე საშუალო სკოლამ შეხვედრა მოუწყო ილო მოსაშვილს. მწერლისადმი მიძღვნილი საღამო შესაფერი სიტყვით გახსნა მეთერთმეტე კლასის მოსწავლემ კ. ჩუხრუკიძემ. ი. მოსაშვილის შემოქმედების შესახებ სიტყვებით გამოვიდნენ მოსწავლეები ა. აბესაძე, ზ. ბოჭორიშვილი, ა. ყუბანეიშვილი და სხვ.

ილო მოსაშვილმა მადლობა გადაუხადა ნორჩ მკითხველებს, სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს გულთბილი შეხვედრისათვის და გააცნო მათ თავისი შემოქმედებითი გეგმები.

ო. ს. ეზიკაშვილი — ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოყენებითი მექანიკის და მანქანათა ნაწილების კათედრის დოცენტმა ო. ს. ეზიკაშვილმა მოსკოვში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მანქანათმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „მუშტების დამუშავების კინემატიკური მეთოდი“.

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ო. ს. ეზიკაშვილისთვის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურციკიძე.

საბჭოთა-ამერიკული ურთიერთობანი

სახელმწიფო ანსამბლის ახალი პროგრამა

საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისათვის — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისათვის საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა მოამზადა მრავალფეროვანი პროგრამა, რომელშიც შედის სსრ კავშირის ხალხთა სიმღერები და ცეკვები.

ანსამბლმა შეისწავლა ტულიკოვის „საბჭოთა ახალგაზრდობის მარში“, „კაზაკური სიმღერა“ და სხვა რუსული სიმღერები.

ანსამბლი კარგად ასრულებს უკრაინულ სიმღერებს „აღთქმა“ და „ჩემო პერეიასლაველო გოგონავ“.

უკრაინიდან სპეციალურად მოწვეული რეჟისორი — ბალეტმეისტერი ლიდია ჩერნიშოვა ამზადებს უკრაინულ ხალხურ სიმღერას ცეკვით „ოი, სალტე გაწყდა“ და ქორეოგრაფიულ დადგმას რუსული ხალხური სიმღერის „ცირცელის“ მიხედვით.

თავის კონცერტებს ანსამბლი იწყებს ვ. ცაგარეიშვილის ახალი სიმღერით „სალამი უკრაინას“.

ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში

საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკა დიდი პოპულარობით სარგებლობს. მისი წიგნის ფონდი 400 ათას ტომს შეიცავს. აქ არის მეცნიერული და სპეციალური ლიტერატურისა და პერიოდიკის ბევრი ოშეიათი გამოცემები.

ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში წიგნზე მუშაობს ასობით სტუდენტი, ასპირანტი და მეცნიერი მუშაკი. ბიბლიოთეკაში ხშირად ნახავთ საწარმოთა მუშაკებს — ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტებს. ბიბლიოთეკაში განსაკუთრებით ბევრი მკითხველია ამჟამად, მომავალ სესიებთან დაკავშირებით.

რუსთავში, ტყიბულში, ქუთაისსა და რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ცენტრებში ბიბლიოთეკას აქვს ფილიალები ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტთა დასახმარებლად.

პრიზები გადაეცათ მშვიდობის მე-7 საერთაშორისო ველორბოლის გუნდებსა და მონაწილეებს

პარალა, 20 მაისი. (საკადესი). 19 მაისს პრაღის სპეტანას სახელობის დარბაზში საზეიმო ეითარებაში გადაეცათ პრიზები მშვიდობის მე-7 საერთაშორისო ველორბოლის (ვარშავა — ბერლინი — პრაღა) გუნდებსა და მონაწილეებს. პრიზების გადაცემის წინ სიტყვა წარმოთქვა ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ფრანტიშეკ იანდამ. მან აღნიშნა, რომ წლითიწლობით იზრდება მშვიდობის ველორბოლის მონაწილეთა რიცხვი. დიდი მოვლენაა ის, რომ წელს ველორბოლაში მონაწილეობდნენ საბჭოთა სპორტსმენები. ფრანტიშეკ იანდამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ველორბოლამ ხელი შეუწყო ხალხთა შორის მშვიდობის შემდგომი განმტკიცების საქმეს.

პირველი პრიზები გადაეცათ: პოლონეთის გუნდს, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა ველორბოლაში პოლონეთის ტერიტორიაზე, და ჩეხოსლოვაკიის გუნდს, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა ველორბოლაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე.

სსრ კავშირის გუნდმა, რომელმაც მეექვსე ადგილი დაიკავა, მიიღო ს